პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 38-ე წელი | № 290 (10987) | ოთხშაბათი, 11 დეკემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენს დიად სამშობლოში

## კრებული „ლენინი 1917 წელს"

### რევოლუციის დიდი ბელადის ცხოვრების და მოღვაწეობის თარიღები

გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მიერ მომზადებული და პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გამოცემული წიგნი „ლენინი 1917 წელს". იგი მოიცავს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღებს ჩვენი სამშობლოსა და კომუნისტური პარტიის ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე დაძაბულ და უმნიშვნელოვანესი ისტორიული ამბებით მდიდარ პერიოდში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში.

კრებულში სისტემატიზებულია თარიღები და ფაქტები, რომლებიც ასახავენ ვ. ი. ლენინის გიგანტურ თეორიულ, პუბლიცისტურ და ორგანიზატორულ მოღვაწეობას, მრავალი სტატიის, ბროშურის, შენიშვნის, წერილის დაწერის დღეებს; ბელადის გამოსვლებს მასების წინაშე, მის მონაწილეობას ყრილობათა და კონფერენციათა მუშაობაში, ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომებში, სხვა თათბირებსა და კრებებში.

წიგნში შეტანილია პარტიულ მუშაკებთან, მუშებთან, ჯარისკაცებთან, მატროსებთან, გლეხებთან ლენინის შეხვედრისა და საუბრის თარიღები.

ცნობილ ფაქტებთან ერთად წიგნი შეიცავს ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახალ, დღემდე გამოუქვეყნებელ თარიღებს.

წიგნი „ლენინი 1917 წელს" ძვირფასი სახელმძღვანელოა იმათთვის, ვინც სწავლობს რევოლუციის დიდი ბელადის ბიოგრაფიას, თვით რევოლუციის ისტორიას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიას.

კრებულის ტირაჟია 50 ათასი ცალი. (საქდესი).

## მეექვსე ხუთწლედის პირმშო



სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგური მეექვსე ხუთწლედის ყველაზე დიდი ახალმშენებლობაა.

1958 წლის შემოდგომაზე ამუშავდება სტალინგრადის ჰესის პირველი აგრეგატი, ხოლო მეექვსე ხუთწლედის დასასრულისათვის — ოცდაორივე აგრეგატი, რომელთა საერთო სიმძლავრე 2.310 ათასი კილოვატი იქნება.

სტალინგრადის ჰესის სამშენებლო მოედანი, ქალაქ ვოლჟსკისა და მუშათა დაბების საცხოვრებელი უბნები გადაჭიმულია 120 კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიაზე. თვით მშენებლობა უზარმაზარი ინდუსტრიული პოლიგონია, სადაც ყველა სამუშაო — მიწის სამუშაოებიდან სამონტაჟო სამუშაოებამდე — მანქანებისა და მექანიზმების გამოყენებით სრულდება.

მშენებლობა თვალდათვალ იცვლის სახეს. ერთიმანეთის მიყოლებით ალიმართება იარუსებად სადგურის შენობა, წყალსაშვები კაშხალი, რაბები. წარმოებს ჰიდროტურბინების აწყობა. მესამე კვარტალში მუშაობისათვის მშენებლობის კოლექტივს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა. სამ თვეში ჰიდრომშენის კოლექტივმა 341 მილიონ 120 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულა. ასეთი მოცულობა პირველად არის მიღწეული მშენებლობის ისტორიაში. ძირითად ნაგებობებში ჩასხმულია 588 ათასი კუბური მეტრი ბეტონი — გეგმით დასახულზე მეტი.

სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის წყალსაშვებ რკინაბეტონის კაშხალს აგებენ გამსხვილებული კომპლექსური ბრიგადები, რომელთაგან თვითეული პასუხისმგებელია ყველა სამუშაოსათვის ბლოკზე ან სექციაზე. ბრიგადა გაყოფილია სამ ცვლად, მიმაგრებულია ნაგებობის გარკვეულ სექციაზე და ასრულებს იქ ყველა ძირითად და დამხმარე სამუშაოს. ბრიგადამ ერთი თვით წინ იცის სამუშაოთა კონკრეტული მოცულობა და შეუძლია წინასწარ მოიფიქროს შრომის ორგანიზაცია, გაანაწილოს თავისი ძალები და მექანიზმები.

რკინაბეტონის კაშხალზე წინათ ორმოცზე მეტი ბრიგადა მუშაობდა. მათ ნაცვლად შექმნილია თერთმეტი კომპლექსური და ხუთი სპეციალიზებული ბრიგადა. ასეთი მაგალითი ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ.

საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვით აღფრთოვანებულმა მშენებლებმა კიდევ უფრო ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება 1957 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. ისინი ყველა ღონისძიებას ხმარობენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ ვოლგის კალაპოტის გადახიდვა და პირველი აგრეგატების ამუშავება 1958 წელს.

• • •

სურათზე: სადგურის შენობის სამონტაჟო მოედანი. აქ შენდება სვეტები 450-ტონიანი ხიდური ამწის ლიანდაგისათვის.

ფოტო ა. მაკლეცოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

# დავძლიოთ ჩამორჩენა, მივცეთ სამშობლოს მეტი მარგანეცი

წელს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა ვერ ასრულებს მადნის მოპოვების გეგმას. მაღაროელები ამას გულისტკივილით განვიცდით და ვცდილობთ, რომ ყოველივე, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, გავაკეთოთ ჩამორჩენის გამოსასწორებლად. მაგრამ ჩვენი ცდა ჯერჯერობით საჭირო შედეგს ვერ იძლევა. მარგანეცის ტრესტისა და მის ცალკე განყოფილებათა ხელმძღვანელები სათანადო დახმარებას და მხარდაჭერას არ გვიწევენ იმ მიზეზების აღმოფხვრაში, რომლებიც მუშაობას აფერხებს, ქმედითს ზომებს არ იღებენ ჩამორჩენის დასაძლევად.

დიმიტროვის სახელობის მაღაროში, სადაც მე ვმუშაობ, ღია სამუშაოებზე გვაკლია თვითსაცლელი ავტომტვირთავები, არა გვაქვს სარეზერვო ექსკავატორი. ამის გამო ხშირად ფერხდება მარგანეცის მონგრევა, დატვირთვა და გაზიდვა, მაგრამ თვითსაცლელი ავტომტვირთავებით, აგრეთვე ექსკავატორით ჩვენი უზრუნველყოფისათვის ტრესტის სათანადო განყოფილებაში თავს არ იწუხებენ. ასეთსავე პირობებში უხდებათ მუშაობა სხვა მაღაროებშიც.

ფიქრობენ თუ არა ჭიათურის მარგანტრესტის ხელმძღვანელები დასახული დიდი ამოცანების შესაბამისად გარდაქმნან მუშაობა, ყოველივე გააკეთონ, რათა ჭიათურელი მაღაროელები კვლავ ჩადგნენ მოწინავეთა რიგებში.

**კ. ნადირაძე,**
ჭიათურის მარგანეცის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროს მბურღავი.

★ ★

Ასეთი შინაარსის წერილები შემოდის ბოლო ხანებში ჩვენი გაზეთის რედაქციაში. მათი ავტორები სიამაყის გრძნობით აცხადებენ, რომ ჭიათურელ მაღაროელებს არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩაუწერიათ მარგანეცის მადნის მოპოვებისათვის თავდადებული შემოქმედებითი შრომის ისტორიაში. მაგრამ ბოლო ხანებში ჭიათურაში მარგანეცის მოპოვების საქმე უკან წავიდა. წელს განვლილ 11 თვეში ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა მეტალურგებს მრავალი ათასი ტონა პირველი ხარისხის მადანი დააკლო. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 11 თვის გეგმა მხოლოდ 95,8 პროცენტით შესრულა, პირველი ხარისხის მადნის ამოღების გეგმა — 87,9 პროცენტით. პროდუქციის თვითღირებულება, შემცირების ნაცვლად, 10 თვეში 15.757 ათასი მანეთით გაიზარდა.

ჩამორჩენის მიზეზი ბევრია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ხელმძღვანელობაში (მმართველი ამხ. შ. შეყლაშვილი, მთავარი ინჟინერი ამხ. დ. გელაშვილი), მაღაროებში, წარმოების მეთაურთა მუშაობაში ფეხი მოიკიდა სიძნელეების წინაშე ქედის მოხრის, წარუმატებლობის სხვებისათვის გადაბრალების, მოშვებულობისა და მოდუნების მავნე განწყობილებამ. თუ არა ამით, რით უნდა აიხსნას, რომ ჭიათურის მაღაროებში სუსტია შრომის ორგანიზაცია, ვხვდებით საწარმოო პროცესების დარღვევის ფაქტებს; დაბალ დონეზეა წარმოების კულტურა, სუსტად ინერგება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები.

მარგანეცის ტრესტის ხელმძღვანელები ჩამორჩენის მიზეზებს შორის პირველ რიგში ასახელებენ სამთამადნო მრეწველობაში შემცირებულ სამუშაო დღეზე გადასვლას და შრომის ანაზღაურების ახალი წესის შემოღებას. ეს სწორი არ არის. პირიქით, ი. ბ. სტალინის სახელობის მაღაროში შემცირებულ სამუშაო დღეზე გადასვლამ და შრომის ანაზღაურების ახალი წესის შემოღებამ წამყვანი პროფესიების მაღაროელთა საათობრივი შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ზრდა გამოიწვია.

წარმოების ტექნოლოგიის დარღვევების, სამუშაო ადგილების მოუწყობლობის, მანქანების და მექანიზმების სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო მაღაროებში სრული სიმძლავრით ვერ იყენებენ ტექნიკას, მექანიზმებს. ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროში მწყობრიდან გამოვიდა 100 კუბმეტრი შეკუმშული ჰაერის სიმძლავრის კომპრესორი, რამაც მადნის ვაგონეტებში ჩატვირთვა შეაფერხა, ხოლო კომპრესორის სასწრაფოდ აღდგენა არ მოხერხდა, რადგან მაღაროში არ აღმოჩნდა კომპრესორის ხელახლა გასამართავად საჭირო სათადარიგო ნაწილები. მოტორების უქონლობის გამო უმოქმედოდ დგას 10 ელექტრომავალი. მაღაროში შესაკეთებელია საკონტაქტო ხაზები, რისთვისაც საჭიროა ელექტროსადენი მავთული და იზოლატორები. მარგანეცის ტრესტის მომარაგების განყოფილება კი ვერ ახერხებს თავი გაართვას მის წინაშე წამოჭრილ სიძნელეებს, მაღაროები შეუფერხებლად მოამარაგოს სათანადო მასალებით, ყოველივე იმით, რაც მაღაროების გამართული მუშაობისათვის არის საჭირო.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოო გამარჯვებათა მოპოვებაში სოციალისტური შეჯიბრების მართებულად მოწყობას, მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას, წარმოების ნოვატორთა გამოცდილების, მუშაობის ახალი ხერხების და მეთოდების გავრცელებას. ჭიათურაში კი ცოტა როდია თავისი საქმის ღრმად მცოდნე ადამიანი. ისინი მუშაობენ ყველა მაღაროში, საწარმოო უბანში, ყველა სამუშაო ადგილზე, მაგრამ არავინ ზრუნავს იმისათვის, რომ ცალკეულ ადამიანთა მიღწევები მასების საკუთრებად გახდეს. სოციალისტურ შეჯიბრებაში ფორმალიზმი და მოდუნება, რაც პროფკავშირული ორგანიზაციების მოუქნელ მუშაობაზე მეტყველებს, დაბრკოლებათა ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია და იგი დროულად უნდა აღმოიფხვრას.

ბევრი საყვედური გაისმის ჭიათურაში ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მისამართით. მარგანეცის ტრესტის ხელმძღვანელები მიეჩვივნენ ჩამორჩენის სხვებისათვის გადაბრალებას, მაგრამ ამჯერად მათ ამ სამდურავში არის სიმართლის ნაწილი. რკინიგზელები ყოველთვის ვერ უზრუნველყოფენ ჭიათურიდან მარგანეცის გამოზიდვას, ხშირად არღვევენ ეშელონების ჩამოყენების გრაფიკს. ოქტომბერში გეგმაზე 53.779 ტონით ნაკლები მადანი იქნა ჭიათურიდან გამოზიდული, ნოემბერში — 36.331 ტონით ნაკლები.

ჭიათურაში ზოგიერთებმა დაივიწყეს, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ძვირფასი კაპიტალი ადამიანია, რომ მშრომელების ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება ჩვენი პარტიისა და მთავრობის მთავარი საზრუნავია, რომ შრომაში გამარჯვებისათვის აუცილებელია ადამიანებს ჰქონდეთ შრომის, ყოფაცხოვრების, გართობა-დასვენების კარგი პირობები. საჭიროა გულისხმიერებას ვიჩენდეთ მშრომელთა მოთხოვნებისადმი, ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში ვითვალისწინებდეთ თვითეულის სურვილებს, დაუღალავად ვიბრძოდეთ მათ დასაკმაყოფილებლად. სამწუხაროდ, ეს ნაკლებად იგრძნობა ჭიათურაში. მშრომელთა ინტერესების გაუთვალისწინებლობას მიეწერება ის გარემოება, რომ მაღაროელთა საგრძნობი ნაწილი საცხოვრებელი ბინების უქონლობის გამო 5-10 და 20 კილომეტრით დაშორებული სოფლებიდან დადის სამუშაოდ. აქ უახლოეს წლებში მაღაროელებისათვის უნდა აშენდეს 130 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის შემცველი სახლები, მაგრამ მშენებლობის გეგმები დაუშვებლად ჭიანურდება, ქალაქში მოუწყობელია ქუჩები. საკმარისი არ არის ტრანსპორტი, და რაც არის, ისიც ცუდად მუშაობს.

მაღაროელთა ჩამორჩენაში სერიოზული ბრალი მიუძღვის საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტს, რომელმაც ვერ შეძლო მაღაროთა პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტთა შორის, მშრომელთა მასებში პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ფართოდ გაშლით ქმედითად დახმარებოდა სამეურნეო ორგანიზაციებს ჩამორჩენის დაძლევაში. საქალაქო კომიტეტის ბიუროებზე განიხილავენ მარგანეცის მადნის მოპოვებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ბიუროს მსჯელობის საგანი არაერთხელ გამხდარა მაღაროელთა ყოფაცხოვრების, ქალაქის მეურნეობის და სხვა მტკივნეული საკითხები. სათანადო გადაწყვეტილებებიც მიუღიათ, მაგრამ შედეგები უმნიშვნელოა.

ჭიათურის მარგანეცს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არა მარტო რესპუბლიკის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში.

საჭიროა ჭიათურის მარგანეცის ტრესტისა და მაღაროების ხელმძღვანელებმა, თვითეულმა მეთაურმა და რიგითმა მუშაკმა, ყველამ, ვისაც რაიმე წილი უდევს მარგანეცის მადნის მოპოვებაში, შეიგნოს დიდი პასუხისმგებლობა ხალხისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე, გააკეთოს ყოველივე, რაც მათზეა დამოკიდებული ჩამორჩენისათვის თავის დასაღწევად, გამარჯვებების მოსაპოვებლად.

ამ საქმეში მაღაროელებს სათავეში უნდა ედგნენ და ყოველდღიური ქმედითი დახმარებით, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლით, მასებში ორგანიზატორული მუშაობის განმტკიცებით წარმატებას უზრუნველყოფდნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

მარგანეცის მოპოვების საკითხებისადმი მეტი დაინტერესება უნდა გამოიჩინოს და ოპერატიული ხელმძღვანელობა და დახმარება განახორციელოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ.

გადავაქციოთ ჭიათურა კეთილმოწყობილ და მიმზიდველ ქალაქად; შევუქმნათ მაღაროელებს შრომისა და ყოფაცხოვრების სანიმუშო პირობები; დავძლიოთ ჩამორჩენა ჭიათურაში, მივცეთ დედა-სამშობლოს მეტი მარგანეცი!

## პირველმა ხელოვნურმა თანამგზავრმა ათასჯერ შემოუარა დედამიწას

1957 წლის 9 დეკემბრის 20 საათისათვის პირველმა ხელოვნურმა თანამგზავრმა ათასჯერ შემოუარა დედამიწას. ორბიტზე გასვლის მომენტიდან მან გაიარა 43,2 მილიონი კილომეტრი, რაც შეადგენს მარსამდე მანძილის სამ მეოთხედს მისი დიდი პირისპირდგომის პერიოდში და ასჯერ და მეტად აღემატება მანძილს დედამიწიდან მთვარემდე.

თანამგზავრის შემოვლის პერიოდი მისი მოძრაობის დროს შემცირდა დაახლოებით 3,5 წუთით და შეადგენს 92,7 წუთს. დედამიწის ზედაპირიდან ორბიტის მაქსიმალური სიმაღლე მოძრაობის პირველ დღეებში 900 კილომეტრს აღემატებოდა, ამჟამად კი 600 კილომეტრს აღემატება.

თანამგზავრის ორბიტის პარამეტრების განსაზღვრისათვის გამოყენებული იყო რადიოტექნიკურ და ოპტიკურ განზომილებათა შედეგები. ამჟამად ძირითადია ოპტიკური განზომილებანი. ვარაუდით, დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი არსებობას შეწყვეტს 1958 წლის იანვარში.

დედამიწის მეორე ხელოვნურმა თანამგზავრმა 9 დეკემბრის 20 საათისათვის 511-ჯერ შემოუარა დედამიწას. მოწმენდილ ამინდში 10 და 11 დეკემბერს მეორე ხელოვნურ თანამგზავრზე დაკვირვება შესაძლებელი იქნება შეუიარაღებელი თვალით მზის ამოსვლის წინ ჩრდილოეთი განედის 30 გრადუსიდან 52 გრადუსამდე და მზის ჩასვლის შემდეგ — სამხრეთი განედის 0 გრადუსიდან 30 გრადუსამდე. (საქდესი).



## ახალი კადრები

მოსკოვის ქიმიური მანქანათმშენებლობის ინსტიტუტი ამზადებს ინჟინერ-მექანიკოსებსა და თბოენერგეტიკოსებს ქიმიური მრეწველობისა და მისი მომიჯნავე დარგების საწარმოებისათვის. ინსტიტუტში შექმნილია კარგი ლაბორატორიული ბაზა სტუდენტების პრაქტიკული მეცადინეობისა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის მეცნიერული მუშაობისათვის. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მოცულობა ინსტიტუტში უკანასკნელ ათ წელიწადში 7-ჯერ გადიდდა.

1955-1957 წლებში ლაბორატორიების მოსაწყობად 5.800 ათასი მანეთი დაიხარჯა. მოეწყო ახალი ლაბორატორიები. მთლიანად გამოიცვალა მოწყობილობა პლასტიკური მასების, ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიებსა და მაცივარ-გაზის წარმოების კათედრის ლაბორატორიაში. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მრეწველობაში დაინერგა ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ შესრულებული 82 სამეცნიერო-კვლევითი ნამუშევარი.

საინტერესო მუშაობა შესრულდა „პიროგენულ წარმოებათა ქარხნების მოწყობილობის" კათედრაზე. აქ შემუშავებულია მეთოდი ქვანახშირის დაკოქსვისა ელექტროგახურების გამოყენებით. დაკოქსვა წარმოებს ჩვეულებრივ კამერულ ღუმელებში, რომლებსაც გაზით ათბობენ. დამატებითი გახურება პროცესის ბოლოს წარმოებს ელექტროდენით, რომელსაც კამერას ელექტროდების მეშვეობით აწვდიან. წარმოებაში ახალი ტექნოლოგიის დანერგვა შესაძლებელს გახდის მაღალხარისხოვანი კოქსის მიღებას და საკოქსავი ბატარეების წარმადობის ერთი მესამედით გადიდებას. უახლოეს ხანში ეს მეთოდი სამრეწველო პირობებში შემოწმდება.

სურათზე: წინადადების ავტორი დოცენტი ი. ი. პილსკი (მარჯვნივ) და ლაბორანტი ვ. მ. სმირნოვი ელექტროგახურების გამოყენებით ქვანახშირის საკოქსავ საცდელ დანადგართან.

ფოტო ვ. კუნოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## მაღალვოლტიანი ელექტროგადამცემი

ყოველმხრივი გამოცდისა და შემოწმების შემდეგ 8 დეკემბერს 22 საათსა და 43 წუთზე ადგილობრივი დროით სამრეწველო დატვირთვის მისაღებად ჩაურთეს ირკუტსკ-ბრატსკის 220 კილოვოლტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი. ხაზის სიგრძეა თითქმის 650 კილომეტრი.

ირკუტსკ-ბრატსკის ელექტროგადამცემი ხაზი აიგო სარეკორდოდ მოკლე ვადაში — ორ წელიწადზე ცოტა მეტ ხანში. მის მშენებლობაზე თავდადებით შრომობდა ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი, რომლებიც ციმბირში ჩამოვიდნენ კომკავშირის საგზურებით. ტრასის გაყვანისას მშენებლებს მოუხდათ მთებისა და ჭაობების, საუკუნოვანი ტაიგის გადალახვა, ტყისაგან გაწმენდა ზოლისა, რომლის საერთო ფართობი 3.300 ჰექტარია. ხაზზე დადგმულია 1.800-მდე ფოლადის საყრდენი, დამონტაჟებულია თითქმის ოთხი ათასი ტონა ფოლად-ალუმინის მავთული. საყრდენთა გამარტივებული კონსტრუქციის გამოყენების მეოხებით დაზოგილია 1.500 ტონა ლითონი.

ირკუტსკ-ბრატსკის მაღალვოლტიანი ხაზი აღმოსავლეთ ციმბირის მომავალი ერთიანი ენერგეტიკული სისტემის პირველი რგოლია. იგი საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ ძირითადი ჰიდროტექნიკური სამუშაოები პადუნის ჭორომთან, უფრო სწრაფად განვახორციელოთ დაშორებული ჩრდილოეთ რაიონების ელექტროფიკაცია. (საქდესი).

## აზერბაიჯანელ კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოები

მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში 9 დეკემბერს საღამოს სრულიად საკავშირო რადიოს დიდმა სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა აზერბაიჯანელი კომპოზიტორების ელმირა ნაზიროვასა და ფიკრეტ ამიროვის ახალი ნაწარმოები — კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის არაბულ თემებზე. სოლისტი — ელმირა ნაზიროვა. დირიჟორობდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნათან რახლინი.

ორკესტრმა შეასრულა აგრეთვე ჩაიკოვსკის სიმფონია „მანფრედი" და ბერლიოზის ოპერა „ბენვენუტო ჩელინის" უვერტიურა. (საქდესი).



დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ სტამბა „კრასნი პროლეტართან" ერთად გამოუშვა პაწაწა წიგნი — მ. გორკის „სიმღერა შავარდენზე" და „სიმღერა ქარიშხალაზე". წიგნი ასანთის კოლოფზე უფრო პატარაა, დაბეჭდილია ორი საღებავით. წიგნში მოთავსებულია გრაფიკოსი მხატვრების ვ. ბიბიკოვის, ა. გონჩაროვის, გ. კუდრიავცევისა და ვ. როსტოვცევის მიერ შესრულებული 8 გრავიურა.

## პარტიული აქტივის კრებებზე

# ერთსულოვნად იწონებენ დეკლარაციასა და მშვიდობის მანიფესტს

### სტალინირი

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, მოისმინა და განიხილა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. გ. სანაკოევის მოხსენება კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირების შედეგების შესახებ.

— კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირების დეკლარაციას და მშვიდობის მანიფესტს, — ამბობს მომხსენებელი, — მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ერთსულოვნად იწონებენ სამხრეთ ოსეთის მშრომელები. ეს დოკუმენტები წარმოადგენენ დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს მშვიდობის ძალების შემდგომ განმტკიცებასა და შემჭიდროებაში.

ტრიბუნაზეა პარტიის ჯავის რაიკომის მდივანი პ. ხარებოვი. იგი ლაპარაკობს სოციალისტური ქვეყნების მიერ მოპოვებულ წარმატებებზე, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლ ადამიანთა მტკიცე გადაწყვეტილებაზე არ დაუშვან სისხლისმღვრელი მესამე მსოფლიო ომი.

სიტყვა ეძლევა სტალინირის რაიონის სოფელ ხეთაგუროვის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მ. ფუხაევს.

— მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანები, — ამბობს იგი, — მოითხოვენ მშვიდობას, ხალხთა შორის ძმურ, მეგობრულ ურთიერთობას. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ არ დაუშვან ახალი გამანადგურებელი ომი. ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, მშვიდობა გვინდა, რათა წარმატებით შევასრულოთ პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანები.

პარტიის სტალინირის რაიკომის მდივანი ვ. სანაკოევი ლაპარაკობს იმ უდიდეს პოლიტიკურ და შრომით აღმავლობაზე, რაც გამოიწვია კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირების დეკლარაციამ და მშვიდობის მანიფესტმა.

ლენინგორის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. დრიაევმა თქვა:

— დაე იცოდნენ იმპერიალისტებმა, რომ სოციალისტური ქვეყნების თავისუფალი ხალხები, რომლებიც მჭიდროდ არიან დარაზმულნი კომუნისტური და მუშათა პარტიების გარშემო, არ დაუშვებენ ახალი სისხლისმღვრელი ომის გაჩაღებას. დიდმნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტების პასუხად ლენინგორელი მშრომელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ შექმნან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე, შემდგომ განამტკიცონ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერება.

პარტიული აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ერთსულოვნად მოიწონა მოსკოვის თათბირების მიერ მიღებული დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი.

### რუსთავი

რუსთავი. (საკ. კორ.). რუსთავის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლების მოსკოვის თათბირების შედეგების შესახებ მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. მ. ჩუბინიძის მოხსენება. მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირების მუშაობა და აღნიშნა, რომ დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი მოასწავებენ ახალ მნიშვნელოვან ეტაპს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის განვითარებაში, სოციალისტური ბანაკის მძლავრი ძალების შემდგომ განმტკიცებაში.

სიტყვებით გამოვიდნენ ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საგლინავი საამქროს ოპერატორი ვ. მალიხი, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის სამშენებლო მექანიზმების სამმართველოს პარტორგანიზაციის მდივანი ე. ერმიშიანი, კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგე გ. ლასურაშვილი და სხვები. სიტყვებით გამოსული ამხანაგები ერთსულოვნად იწონებდნენ მოსკოვის თათბირების მიერ მიღებულ დოკუმენტებს, რომლებიც ნათლად მოწმობენ მარქსისტულ-ლენინური იდეების ზეიმს, ყველა ქვეყნის მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობისა და დარაზმულობის ზრდას.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში რუსთავის საქალაქო პარტიული აქტივის კრებამ მხურვალედ მოიწონა კომუნისტური და მუშათა პარტიების მუშაობის შედეგები და ამ თათბირების მიერ მიღებული დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი.

# საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის საორგანიზაციო ბიურო

კინემატოგრაფიის მუშაკთა შემოქმედებითი აქტივობის გაძლიერების, ქართული კინოხელოვნების იდეურ-მხატვრული დონის შემდგომი ამაღლების, პროფესიული ცოდნისა და ოსტატობის დონის ამაღლებაში კინემატოგრაფიის მუშაკებისათვის ფართო დახმარების გაწევის, კინოს თეორიის, კრიტიკისა და ისტორიის საკითხთა განვითარების, მოწინავე შემოქმედებითი და ტექნიკური გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების მიზნით ეწყობა საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირი.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის საორგანიზაციო ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ს. ვ. დოლიძე (თავმჯდომარე), ნ. კ. სანიშვილი, კ. კ. პიპინაშვილი, მ. ე. ჭიაურელი, დ. ე. რონდელი, ლ. დ. ესაკია, რ. დ. ჩხეიძე, ა. ი. ბელიაშვილი, გ. ი. ჭიაურელი, გ. ი. გიგოლაშვილი, რ. შ. თაბუკაშვილი, კ. ი. გოგოძე, დ. ე. კანდელაკი, ვ. ი. ასათიანი, ლ. ს. მაზალაძე, ლ. მ. აბაშიძე, ვ. ი. ანჯაფარიძე, ი. ი. კანდელაკი, ა. პ. კერესელიძე, ა. ნ. ხინთიბიძე, ვ. ვ. დოლიძე, ვ. დ. კიკნაძე.

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის საორგანიზაციო ბიუროს ამოცანაა შეიმუშაოს საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის წესდების პროექტი, გააჩაღოს მუშაობა, რათა კავშირში ჩააბას ქართული კინემატოგრაფიის მოწინავე მუშაკები — კინორეჟისორები, კინოდრამატურგები, კინომსახიობები, კინოოპერატორები, მხატვრები, კომპოზიტორები, ხმის ოპერატორები, კინოკრიტიკოსები, რომლებიც თავიანთი შემოქმედებითი შრომით ხელს უწყობენ საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებას, აგრეთვე კინემატოგრაფიის სხვა პროფესიების მუშაკები, რომლებსაც აქვთ მუშაობის გამოცდილება, მაღალი პროფესიონალიზმი და თავიანთი მონაწილეობით ხელს უწყობენ საბჭოთა კინოხელოვნების მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა შექმნას. (საქდესი).

### რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე

# აღმავლობის გზით

ამ რამდენიმე წლის წინათ ასპინძის რაიონი რესპუბლიკაში ერთ-ერთი ყველაზე დავიწყებული და ეკონომიურად ჩამორჩენილი რაიონი იყო. ამჟამად კი სულ სხვა სურათია. უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით სკკპ XX ყრილობის შემდეგ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად, კოლმეურნეთა თავდადებული შრომის მეოხებით ჩამორჩენა დაძლეულ იქნა და სოფლის მეურნეობა აღმავლობის გზით ვითარდება.

ეს ხაზგასმით აღინიშნა რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა. საანგარიშო მოხსენებაში პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. კავაძემ განაცხადა, რომ წელს კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმები. 10 თვეში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 1.120 კილოგრამი რძე, წლიური გეგმა კი 850 კილოგრამს ითვალისწინებდა. რესპუბლიკაში ყველაზე ადრე — 10 სექტემბრისათვის ასპინძის რაიონში შესრულდა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხის ჩაბარებისა და მიყიდვის დავალება.

წელს რაიონის კოლმეურნეობებმა სიმინდის უხვი მოსავალი მოიყვანეს. გეგმით გათვალისწინებული 14 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 17,6 ცენტნერი. სოფლების ასპინძის, იდუმალას, რუსთავის და სხვა კოლმეურნეობებმა სიმინდის უხვი მოსავლის მიღების შედეგად პირუტყვის საკვების მტკიცე ბაზა შექმნეს.

ამ წარმატებებთან ერთად კონფერენციაზე აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის აღმავლობა მიღწეულია მოწინავე კოლმეურნეობების მეშვეობით. 22 კოლმეურნეობიდან ათს არ შეუსრულებია მარცვლეულის მოსავლიანობის გეგმა. პურეულის ძალიან დაბალი მოსავალი მიიღეს სოფლების ოშორის, აწყვეტის, ტოლოშის, ეროკის, ინდუსის კოლმეურნეობებში. მაგრამ პარტიის რაიკომი ამ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს ჯეროვან დახმარებას არ უწევს.

მესხეთი ძველთაგანვე ცნობილია კარტოფილისა და მაღალხარისხოვანი ხილის სამშობლოდ, მაგრამ სოფლის მეურნეობის ეს დარგები ასპინძის რაიონში კვლავ ჩამორჩენილია. როგორც საანგარიშო მოხსენებიდან და დელეგატთა გამოსვლებიდან გამოირკვა, კარტოფილის მოსავლიანობის გეგმა წელს სანახევროდაც არ არის შესრულებული.

დიდი ნაკლოვანებებია ხეხილის ბაღების მოვლა-პატრონობაში. მართალია, წელს ახალი ბაღების გაშენების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, მაგრამ ნარგავების დიდი ნაწილი მოუვლელობით დაიღუპა.

მომხსენებელმა და კამათში სიტყვით გამოსულმა დელეგატებმა ამხილეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამახინჯების, საკოლმეურნეო და კოოპერაციული ქონების დატაცების ფაქტები, ამასთან გააკრიტიკეს სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოების შემარიგებლობა დამნაშავეთა მხილებისა და დასჯის საქმეში. რაიონის პროკურორმა გ. სტურუამ კონფერენციაზე განაცხადა, რომ ასპინძის რაიკოოპკავშირში გამომჟღავნებულია 161.000 მანეთის გაფლანგვა, რისთვისაც დამნაშავენი მიცემული არიან სამართალში.

მანქანა - ტრაქტორთა სადგურის პარტბიუროს მდივანმა მ. სირაძემ სადგურის წარმატებებთან ერთად აღნიშნა, რომ მექანიზატორთა შორის ხშირია შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ მექანიზატორებთან არადამაკმაყოფილებლად წარმოებს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. რაიკომის ბიუროს წევრები იშვიათად მოდიან სადგურში, არ გამოდიან პოლიტიკური მოხსენებებით.

— სოფლის მეურნეობის სამინისტრო, — თქვა სოფელ ხიზაბავრის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. მიქელაძემ, — ასპინძის რაიონის კოლმეურნეობებს ნაკლებად ამარაგებს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით. დიდი ხანია ხიზაბავრში ჭიანურდება წყალსაქაჩის მშენებლობა. საჭიროა წყალთა მეურნეობის სამინისტრომ მეტი ყურადღება მიაქციოს ამ მშენებლობის დაჩქარებას.

სოფლების საროს და იდუმალას კოლმეურნეობების პარტორგანიზაციების მდივნებმა შ. გიორგაძემ და ი. ქავთარაძემ ვრცლად ილაპარაკეს საკოლმეურნეო წარმოების მიღწევებზე, მაგრამ არაფერი თქვეს იმაზე, თუ რა მუშაობას ეწევიან პარტიული ორგანიზაციები სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად, მასებში პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გასაძლიერებლად.

ასპინძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. ისაკაძე თავის გამოსვლაში ვრცლად შეეხო ადგილობრივი საბჭოების სესიების მომზადებისა და ჩატარების ნაკლოვან მხარეებს.

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის გამოსვლა. ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ მთის რაიონების, მათ შორის ასპინძის რაიონის ეკონომიკის მძლავრი განვითარებისათვის.

* * *

შედგა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. კავაძე, მეორე მდივნად — ამხ. ნ. ჩაგუნავა.

**ე. ხარებავა,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.



მახარაძის აბრეშუმის ძაფსაგრეხ-სახვევი ფაბრიკის მოწინავე მუშა შ. ულენტი 1958 წლის ანგარიშში მუშაობს.

## ახალი წიგნები

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ახალი წიგნები.

**ლენინი ოქტომბერში.** მოგონებანი. გვ. 352. ტირაჟი 100 ათასი ცალი. ფასი 6 მანეთი.

**ო. ლეპეშინსკაია.** შეხვედრები ილიჩთან. (ძველი ბოლშევიკის მოგონებანი). გვ. 40. ტირაჟი 150 ათასი ცალი. ფასი 45 კაპიკი.

**ა. ანდრეევი.** დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და ბოლშევიკების პარტია. გვ. 32. ტირაჟი 100 ათასი ცალი. ფასი 25 კაპიკი.

**პ. ჩუვიკოვი.** ვ. ი. ლენინი ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ. გვ. 40. ტირაჟი 150 ათასი ცალი. ფასი 45 კაპიკი.

**ერნსტ კემპბელი,** ავსტრალიის კომუნისტური პარტიის პოლიტიკური კომიტეტის წევრი. დიდი ოქტომბრის რევოლუციის გავლენა ავსტრალიის მუშათა მოძრაობაზე. გვ. 12. ტირაჟი 100 ათასი ცალი. ფასი 15 კაპიკი.

**აჯოი გჰოში,** ინდოეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი. ოქტომბრის რევოლუცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ინდოეთში. გვ. 24. ტირაჟი 100 ათასი ცალი. ფასი 25 კაპიკი.

## ორი მოძმე რესპუბლიკის კოლმეურნეთა შეჯიბრება

მუხრანის ველზე თბილი, მზიანი დღეებია. ამიტომ მინდვრად მუშაობა არ შეწყდარა. კოლმეურნეები ბაღ-ვენახებში საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოებს ასრულებენ, ყოველ დღეს ახალი სიხარული მოაქვს. ასეა წილკანშიც.

წილკნელი კოლმეურნეები ზეიმობენ წლევანდელი შრომის შედეგს. ამ დღეებში აქ სტუმრად იყო აზერბაიჯანის სსრ თაუზის რაიონის სოფელ აბულბეილის ნიზამის სახელობის კოლმეურნეობის დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ: კოლმეურნეობის თავმჯდომარე მამედ ალი ალიევი, მერგოლურები — სოციალისტური შრომის გმირი გიულ ხანუმ ნაბაზოვა, თამილა აგაევა, განთქმული მევენახე, სოციალისტური შრომის გმირი სეველი ქერიმოვა, კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი ოლჩი გასანოვი, ვეტექიმი ზირადინ ბაგიროვი, რაიონული გაზეთის რედაქტორი მუსა მუსაევი, აზერბაიჯანის კპ თაუზის რაიკომის მდივანი ურგია მურადოვა, მწველავი გიული მეხტიევა.

სტუმრები ყურადღებით გაეცნენ კოლმეურნეობის საერთო საქმიანობას, შეამოწმეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა. როგორც ცნობილია, წილკნელ და აბულბეილელ კოლმეურნეთა სოციალისტურ შეჯიბრებას მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩაეყარა საფუძველი.

— ამხანაგო შალვა! ჰექტარზე რამდენი სიმინდი მიიღეთ? — ჰკითხეს სტუმრებმა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შ. პაპავაძეს.

— 54,3 ცენტნერი.

— პური?

— 20,3 ცენტნერი.

— თვითეულ საფურაჟე ძროხაზე რამდენს იღებთ?

— თერთმეტ თვეში საფურაჟე ძროხაზე 3.286 ლიტრი რძე გვაქვს მიღებული, წლის ბოლომდე წველადობას 3.520 ლიტრამდე ავიყვანთ.

[illegible] აბულბეილელ კოლმეურნეთა [illegible] რებმა.

წელს ყურძნის მეტად მაღალი მოსავალი მიიღეს აბულბეილელებმა — ჰექტარზე 167,1 ცენტნერი! მევენახე სოციალისტური შრომის გმირი სეველი ქერიმოვა წილკნელებს ესაუბრა ყურძნის მაღალი მოსავლის მიღების საკუთარ გამოცდილებაზე. სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატმა ზაქარია ციციაშვილმა აბულბეილელებს გაუზიარა თავისი გამოცდილება.

ურთიერთშორის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ წილკნელი მწველავი გულნარა გასანოვა და აბულბეილელი მწველავი გიული მეხტიევა.

წილკნელ და აბულბეილელ კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრება ამ ორი კოლმეურნეობის წევრთა ნამდვილ მეგობრობად გადაიქცა. ისინი ერთმანეთს უზიარებენ მუშაობის გამოცდილებას, ეხმარებიან ნაკლოვანებათა გამოვლინებასა და გამოსწორებაში.

წილკნელმა კოლმეურნეებმა აბულბეილის ნიზამის სახელობის კოლმეურნეობის დელეგაციის წევრებთან ერთად თავიანთ საერთო კრებაზე განიხილეს ორი კოლმეურნეობის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და გააფორმეს ახალი ხელშეკრულება 1958 წლისათვის.

სტუმრებმა აბულბეილელ კოლმეურნეთა სახელით წილკნელ კოლმეურნეებს საჩუქრად გადასცეს ხალიჩა, რომელზეც ამოქსოვილია შოთა რუსთაველის პორტრეტი.

**მ. ხეთაგური,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## ვიწონებთ მახარაძელთა კეთილშობილურ თაოსნობას

კონდოლის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები გულდასმით გაეცნენ მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესიის მიმართვას სოფლად მასობრივი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გაჩაღების შესახებ.

მახარაძელთა მიმართვას რომ გავეცანით, მოვითათბირეთ და პერსპექტიული გეგმა შევიმუშავეთ, თუ რას ვაპირებთ უახლოეს ორ-სამ წელიწადში მშრომელთა კულტურულ - საყოფაცხოვრებო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

მიმდინარე წელს უკვე გამოვყავით თანხები საკოლმეურნეო აბანოს მშენებლობისათვის. იგი მომავალი წლის ზაფხულისათვის დამთავრდება. გაზაფხულისათვის მთლიანად დამთავრდება საშუალო სკოლისათვის მიშენებული 8 ოთახის კეთილმოწყობა. ამას გარდა, გადაწყვეტილი გვაქვს ავაგოთ სასოფლო მაღაზიის შენობა და მოვახდინოთ სასოფლო საავადმყოფოს რეკონსტრუქცია.

მახარაძელთა მიმართვის განხილვის დროს იმ დასკვნამდე მივედით, რომ თუ სხვა მოწინავე კოლმეურნეობები შემოგვიერთდებიან, ერთ-ერთ თვალსაჩინო კურორტზე, კერძოდ კისლოვოდსკში ან წყალტუბოში, შესაძლებელია ავაშენოთ საკოლმეურნეობათაშორისო სანატორიუმი. ამ მიზნით ჩვენ ვვარაუდობთ მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვით გავითვალისწინოთ 200 ათასი მანეთი. ყოველწლიურად ამ სანატორიუმში 40 კაცმა რომ დაისვენოს, ჩვენს კოლმეურნეობას სულ ცოტა 7-8 საგზური მაინც შეხვდება და ეს უდიდესი სიკეთე იქნება კოლმეურნეთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. ახლა სიტყვა ეკუთვნით ჩვენი რაიონის აკურის, რუისპირის, კურდღელაურის, ფშავლისა და ვარდისუბნის კოლმეურნეობებს.

კოლმეურნეთა მოსწავლე ბავშვების გაჯანსაღებისათვის ვფიქრობთ თეთრწყლებში მოვაწყოთ პიონერთა ბანაკი.

ყველაფერი ეს დამოკიდებულია რაიონული ორგანიზაციების დახმარებასა და მხარდაჭერაზე, ზოგიერთი დეფიციტური საშენი მასალებით უზრუნველყოფაზე.

კიდევ ბევრი რამ გვაქვს მოსაწესრიგებელი და გასაკეთებელი. მონდომებით ყველაფერი გაკეთდება. მთავარია ინიციატივა და საქმისათვის პასუხისმგებლობა.

კონდოლელი კოლმეურნეები შეძლებენ პირნათლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი.

**ა. კოკილაშვილი,**
თელავის რაიონის სოფელ კონდოლის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

## ტექნიკური ცოდნის პროპაგანდა

რესპუბლიკის საწარმოებსა და დაწესებულებებში დიდი ინტერესით ისმენენ ლექციებს ტექნიკურ თემებზე, რომლებსაც აწყობს საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება. ამას წინათ ქ. რუსთავის მეტალურგთა კლუბში 200-ზე მეტმა მშენებელმა და ინჟინერ-ტექნიკოსმა მოისმინა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ დ. მშვენიერაძის ლექციაზე „ასაწყობი რკინაბეტონის დიდი ეფექტიურობა თანამედროვე მშენებლობაში". ლექტორმა, წინასწარ შეისწავლა რა რუსთავის მშენებელთა მუშაობა, თავისი ლექცია მჭიდროდ დაუკავშირა ადგილობრივ საკითხებს. კერძოდ, მან დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა მოეწყოს ასაწყობი რკინაბეტონის პოლიგონების მეორე სტენდი, უფრო გადიდდეს წინასწარ დაძაბული რკინა-ბეტონის გამოშვება.

მჭიდროდ არის დაკავშირებული პრაქტიკასთან პროფ. ფ. თავაძის ლექცია „სამსხმელო წარმოების განვითარების პერსპექტივები", პროფესორ ა. გულისაშვილის ლექცია „ტექნიკური პროგრესი სსრ კავშირში" და სხვ.

ტექნიკური ცოდნის პროპაგანდაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ წარმოების ნოვატორები. ამას წინათ კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლში მოეწყო თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ნოვატორი ხარატის, საზოგადოების წევრის ი. ჭუმბურიძის ლექცია „ლითონის ჩქაროსნული და ძალოსნური ჭრა". აქვე მოეწყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ამავე ქარხნის ნოვატორი მჭედლის კ. ილურიძის საჯარო ლექცია ლითონის ჭედის პროგრესული მეთოდების შესახებ. დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მოწინავე ხარატის პ. ზუბრიცკის საჯარო ლექციამ საკუთარი გამოცდილების შესახებ, რომელიც გაიმართა თბილისის გორკის სახელობის კლუბში.

საზოგადოების წევრები ლექციებს კითხულობენ ტელევიზიაში, რადიოთი, ფართოდ იყენებენ კინოს, თვალსაჩინოებას. ამას წინათ ტელევიზიაში ლექციით „რადიოელექტრონიკა და მისი გამოყენება თანამედროვე ტექნიკაში" გამოვიდა მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე დ. ხმიადაშვილი.

მკითხველთა ფართო საზოგადოებაში პოპულარობით სარგებლობს ტექნიკური ლექციების სტენოგრამები. ცალკე ბროშურებად გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ვ. მახალდიანის ლექცია „ატომური ენერგია და მისი გამოყენება სახალხო მეურნეობაში", დოც. გ. შენგელიას ლექცია „მეცნიერება მასალების სიმტკიცის, სიხისტისა და მდგრადობის შესახებ" და სხვა.

მიმდინარე წელს ტექნიკის საკითხებზე წაკითხულია 1.000-ზე მეტი ლექცია. (საქინფორმი).





**საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივი მუშაობს მეაბრეშუმეობის — რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის — შემდგომ განვითარებაზე.**

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: 1. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ნიორაძე (მარჯვნივ) და უფროსი ლაბორანტი პ. გასიშვილი ამოწმებენ აბრეშუმის პარკს, რომელიც ინსტიტუტის მიერ მიღებულია აბრეშუმის ჭიის ჩქაროსნული გამოკვების შედეგად; 2. ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ჯაფარიძე ზომავს მის მიერ გამოყვანილი თუთის „საქართველოს" ფოთოლს.**

ფოტო ი. დავითაშვილისა.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ახალი ეტაპი მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში

> „მაშ მოდით განვაგრძოთ ღონისძიებანი სოციალიზმის ყველა ქვეყნის დარაზმულობის განსამტკიცებლად, მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულ ერთა დარაზმულობის განსამტკიცებლად, რათა შევეგებოთ ახალ, კიდევ უფრო დიად გამარჯვებებს!".
>
> **მაო ძე-დუნი.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ საფუძველი ჩაუყარა ახალ ეტაპს მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში. საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში შემდგომ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირები, რომლებიც გაიმართა მოსკოვში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაულის დღეებში.

აქამდე არასოდეს არ ყოფილა ასეთი ფართო მასშტაბის თათბირი. სოციალისტური ქვეყნების 12 პარტიის წარმომადგენლები გამოხატავდნენ მსოფლიოს მოსახლეობის ერთი მესამედის ინტერესებს. ამ პარტიებთან ერთად მშვიდობის მანიფესტს ხელი მოაწერა ევროპის 18 კომუნისტურმა პარტიამ, ამერიკის კონტინენტის 18 პარტიამ, აზიის 11 პარტიამ, აფრიკის 3 პარტიამ, ავსტრალიის 2 პარტიამ.

მეორე მსოფლიო ომამდე კომუნისტური პარტიების რიგებში 3.100 ათასი კაცი ითვლებოდა. მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ძალები გიგანტურად გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მოსკოვის თათბირებში მონაწილეობდნენ 64 კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენლები. ამასთან მთელი რიგი ქვეყნების კომუნისტურმა პარტიებმა ვერ შეძლეს გამოეგზავნათ თავიანთი წარმომადგენლები ამ ქვეყნებში გამეფებული რეაქციისა და ტერორის გამო. ახლა მსოფლიოს კომუნისტური პარტიები თავიანთ რიგებში 33 მილიონზე მეტ წევრს ითვლიან.

ამჟამად მსოფლიოს მოსახლეობის 2 მილიარდ 700 მილიონი ადამიანიდან 1 მილიარდამდე კაცი დაადგა სოციალიზმის მშენებლობის გზას. სოციალიზმის დიდმა წარმატებებმა სტიმული მისცა მძლავრ ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობას. გარდა ჩინეთის, ვიეტნამისა და კორეის სახალხო - დემოკრატიული რესპუბლიკებისა, დამოუკიდებლობას მიაღწიეს მთელმა რიგმა სხვა ქვეყნებმა, რომელთა მოსახლეობა 700 მილიონ კაცს შეადგენს. იმ ქვეყნების მოსახლეობა, რომლებიც იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის, ნეიტრალიტეტის მომხრეთა ჩათვლით, 600 მილიონამდე ადამიანს შეადგენს. იმპერიალისტური ქვეყნების მოსახლეობა კი 400 მილიონამდეა. გარდა ამისა, ამ ქვეყნებს შინაგანი წინააღმდეგობანი ღრღნიან.

კაცობრიობის აღმავალი, ისტორიული გზით წინსვლას ხელს უშლიან ამერიკელი იმპერიალისტები და მათი დამქაშები. ისინი ცდილობენ კვლავ დაადგან კოლონიური უღელი ახლად განთავისუფლებულ ხალხებს, მონობაში იყოლიონ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნები, დაიმორჩილონ მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნებიც, მიაღწიონ მსოფლიო ბატონობას. ამიტომ ისინი არავითარ საშუალებას არ ერიდებიან.

მშვიდობის საქმეს იცავენ სოციალისტური ქვეყნების მძლავრი ბანაკი საბჭოთა კავშირის მეთაურობით, აზიისა და აფრიკის მშვიდობისმოყვარე ქვეყნები, რომლებსაც ანტიიმპერიალისტური პოზიცია უჭირავთ და სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად ქმნიან მშვიდობის ვრცელ ზონას, საერთაშორისო მუშათა კლასი, პირველ რიგში მისი ავანგარდი — კომუნისტური პარტიები, კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა, მასობრივი მოძრაობა მშვიდობისათვის და სხვ. ამ ძალების გაერთიანება, ნათქვამია დეკლარაციასა და მშვიდობის მანიფესტში, საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ ომი.

კომუნისტური და მუშათა პარტიები მშვიდობისათვის ბრძოლას განიხილავენ როგორც თავიანთ პირველხარისხოვან ამოცანას. თათბირების მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მხარს დაუჭერენ ყველა სახელმწიფოს, პარტიას, ორგანიზაციას, ცალკეულ პირთა მოძრაობას მშვიდობის დასაცავად, ევროპასა და აზიაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისათვის, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის.

თათბირის მონაწილე სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს თავიანთი ერთგულება ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპებისადმი.

მოსკოვის თათბირმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს სოციალისტური ქვეყნების სოლიდარობის ცენტრს. ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა კავშირის გადაქცევა სოლიდარობისა და შემჭიდროების ცენტრად წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფაქტს. სოციალისტური ბანაკის განმტკიცება თავისი ცენტრის — საბჭოთა კავშირის გარშემო შეესაბამება არა მარტო სოციალისტური ქვეყნების მშრომელთა ინტერესებს, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესებსაც.

სოციალისტურ ქვეყნებს შორის დამოკიდებულება კარდინალურად განსხვავდება კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებული დამოკიდებულებისაგან. კაპიტალისტურ მსოფლიოში მოქმედებს ძალის პრინციპი — ძლიერი იმორჩილებს სუსტს, ხორციელდება დიქტატის პოლიტიკა, სხვისი ტერიტორიების, ბაზრებისა და ნედლეულის ბაზების ხელში ჩაგდება.

სულ სხვა, დღემდე ისტორიაში უცნობი ურთიერთობა დამყარდა სოციალისტურ ქვეყნებს შორის. ეს ქვეყნები თავიანთ ურთიერთობას აგებენ სრული თანასწორუფლებიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის, ურთიერთის საშინაო საქმეში ჩაურევლობის პრინციპებზე.

სოციალისტური ქვეყნების ერთიან თანამეგობრობად გაერთიანებას საფუძვლად უდევს სოციალიზმის საერთო გზაზე დადგომა, სოციალ-ეკონომიური წყობილებისა და სახელმწიფო ხელისუფლების კლასობრივი არსის ერთნაირობა, ურთიერთმხარდაჭერა და დახმარება, იმპერიალიზმის წინააღმდეგ სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ინტერესებისა და მიზნების ერთიანობა, მარქსიზმ-ლენინიზმის საერთო იდეოლოგია.

ისტორიამ სავსებით დაადასტურა ვ. ი. ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ თუ არის ერთიანობა და სოციალიზმისაკენ მიმავალი გზის ერთობა ძირითადსა და მთავარში, სხვადასხვა ქვეყნის გადასვლა სოციალიზმზე მაინც ერთნაირი არ იქნება, რომ თვითეული ერი **„...შეიტანს თავისებურებას დემოკრატიის ამა თუ იმ ფორმაში, პროლეტარიატის დიქტატურის ამა თუ იმ სახესხვაობაში, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეთა სოციალისტური გარდაქმნის ამა თუ იმ ტემპში" (თხზ. ტ. 23, გვ. 81).**

ახლა კაცობრიობის თანდათანობითი წინსვლა სოციალიზმისაკენ მიმდინარეობს უფრო სხვა პირობებში, ვიდრე ეს 40 წლის წინათ იყო. დროს ამ პროცესში შეაქვს ცვლილებები, მაგრამ იგი არ ეხება ამ თავისებურებათა ძირეულ კანონზომიერებებს.

მუშათა კლასის ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებისადმი შემოქმედებითი მიდგომის მაგალითს წარმოადგენს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე სხვადასხვა ქვეყნების გადასვლის ფორმების პრობლემების შემდგომი დამუშავება თათბირის მიერ. თათბირმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობაში მოხდა ღრმა ისტორიული ძვრები, ძირეული ცვლილებანი სოციალიზმის სასარგებლოდ, გაიზარდა მშრომელი მასების ლტოლვა სოციალისტური იდეებისადმი; აღნიშნა სოციალიზმზე გადასასვლელად პარლამენტარული ბრძოლის გამოყენების შესაძლებლობა ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამ ქვეყნებში მუშათა კლასს თავისი მოწინავე რაზმის ხელმძღვანელობით საშუალება აქვს სახალხო ფრონტის, სხვადასხვა პარტიებისა და ჯგუფების შეთანხმების საფუძველზე გააერთიანოს ხალხის უმრავლესობა, დაიპყროს უმეტესობა პარლამენტში და გადააქციოს იგი იარაღიდან, რომელიც ემსახურება ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებს, იარაღად, რომელიც მოემსახურება მშრომელ მასებს, გასტეხს რეაქციული ძალების წინააღმდეგობას და შექმნის პირობებს სოციალისტური რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის.

მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ გაბატონებული კლასები მიმართავენ ძალადობას, აუცილებელია რევოლუციის არამშვიდობიანი განვითარება.

სოციალისტური სისტემის ზრდა, სოციალისტური ბანაკის წარმატებები, სოციალიზმისა და მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების მიმზიდველი ძალა იწვევენ შიშსა და დაბნეულობას იმპერიალიზმის ბანაკში. საერთაშორისო იმპერიალიზმი ცდილობს ხელი შეუშალოს კაცობრიობის კანონზომიერ ობიექტურ მსვლელობას კომუნიზმისაკენ. რეაქციის შეტევამ მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ სხვადასხვაგვარი რევიზიონისტული, ოპორტუნისტული მიმდინარეობებისა და შეხედულებების გამოცოცხლება გამოიწვია.

მიუხედავად იმპერიალისტებისა და მათი ხელშემწყობთა განწირული ცდებისა, მათ ვერ შეძლეს და ვერც შეძლებენ შეარყიონ სოციალისტური ბანაკის საფუძვლები. მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიები, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით შეიარაღებულნი, გმობენ რა დოგმატიზმს, სასტიკ დარტყმას აყენებენ ოპორტუნისტების მტრულ საქმიანობას.

კომუნისტურ და მუშათა პარტიებს არ უცდიათ შეექმნათ საერთაშორისო ორგანიზაცია ახალი ინტერნაციონალის ან საინფორმაციო ბიუროს სახით. ამისი საჭიროება ახლა არ არის. მაგრამ თათბირმა აღიარა, რომ **„...თანამედროვე პირობებში, ხელმძღვანელ მოღვაწეთა შეხვედრასა და ორმხრივ საფუძველზე ურთიერთ ინფორმაციის გაზიარებასთან ერთად, მიზანშეწონილია საჭიროების მიხედვით მოეწყოს კომუნისტური და მუშათა პარტიების უფრო ფართო თათბირები, რათა განიხილონ აქტუალური პრობლემები, ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, გაეცნონ ერთიმეორის შეხედულებებსა და პოზიციებს, შეათანხმონ ერთობლივი ბრძოლა საერთო მიზნებისათვის — მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის".**

კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის თათბირები კიდევ უფრო შეუწყობენ ხელს კომუნისტური მოძრაობის გზაზე დაბრკოლებების ადვილად დაძლევისა და ამ მოძრაობის შემდგომი გაძლიერების საქმეს. თათბირების მიერ მიღებულმა დოკუმენტებმა მსოფლიოს მშრომელთა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურეს. დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი უნერგავენ მსოფლიოს მშრომელ მასებს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის უძლეველობის, კომუნიზმის გამარჯვების მტკიცე რწმენას.

**ს. ჩხარტიშვილი,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



[illegible] (საქდესის ფოტოქრონიკა).

## მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი—ერთ ხეზე

საქართველოს ციტრუსების ბაღებში დასასრულს უახლოვდება მოსავლის აღება. ბათუმის, ქობულეთის, მახარაძის, სოხუმის, გაგრისა და მთელი რიგი სხვა სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოსავალმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა დაგეგმილს.

კარგი მოსავალი მიღებულია იქ, სადაც დროზე შეასრულეს პლანტაციების მოვლის ყველა აგროტექნიკური წესი. დიდძალი ნაყოფი მიღებულია აგრეთვე პლანტაციებში, სადაც წარმოებდა ლიმონისა და ფორთოხლის მასობრივი მყნობა მანდარინის მოზრდილი ხეების ვარჯზე. დამყნობილ ხეებზე ერთსა და იმავე დროს მიღებულია ორი-სამი სახეობის ნაყოფის — მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის მოსავალი.

ბევრი ლიმონი მოკრიფეს რამდენიმე ასეულ დამყნობილ მანდარინის ხეებზე გულრიფშის რაიონის „ილიჩის" საბჭოთა მეურნეობაში. ახალი ათონის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში ყოველ დამყნობილ ხეზე მანდარინის გარდა მიღებულია 250-300 ცალი ფორთოხალი.

მანდარინის ხის ვარჯზე მყნობა დიდ საწარმოო ეფექტს იძლევა. დამყნობილი ტოტები ლიმონსა და ფორთოხალს ისხამენ მეორე წელს, მაშინ, როდესაც ახალგაზრდა ხეები ნაყოფს იძლევიან მეხუთე-მეექვსე წელს. გარდა ამისა, დამყნობილ ხეებზე ნაყოფი უფრო დიდი და წვნიანია. (საქდესი).

## წუნის მკეთებლები

[illegible] ცომდება, იჭყლიტება, ფუჭდება. მარტო ამ მიზეზით თბილისის პურსავაჭრო ქსელში მიმდინარე წლის 10 თვეში საქონლის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციამ სხვადასხვა დროს აკრძალა მაღაზიებში უკვე გამოტანილი 11 ტონაზე მეტი გამომცხვარი პურის გაყიდვა. თბილისის № 60 პურის მაღაზიაში (პლეხანოვის პროსპექტზე), 6 ნოემბერს დილით გასაყიდად მოიტანეს 700 ცალი პური, რომელიც უხარისხო აღმოჩნდა. მაღაზიის დირექტორმა შ. ჰანტურიამ კი პური შეუმოწმებლად მიიღო.

დახლის ზოგი მუშაკი ცდილობს ცუდად შენახული, უხარისხო, გამომშრალი და დაძველებული პური როგორმე გაასაღოს, მომხმარებელს შეაჩეჩოს. პურის სავაჭრო № 94 მაღაზიაში (დირექტორი ს. ძებისაშვილი) 214 კილოგრამი ძველი პური აღმოჩნდა, № 14 მაღაზიაში (დირექტორი ნ. ანანიაშვილი) — 78 კილოგრამი.

პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის ზრუნვა ყოველი საწარმოო კოლექტივის, ამ საწარმოს სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ღირსების საქმეა. აბა განსაჯეთ, როგორ გაწბილდებით, როცა ლიმონათის ბოთლს გახსნით, აავსებთ ჭიქას და... ლიმონათს შუშის ნამსხვრევები გადმოჰყვება. სანანებლად გაგიხდებათ ლამაზად შეხვეული შოკოლადის კამ- [illegible] შოკოლადი აიზილა, უვარგისი გახდა.

ბათუმის კოოპვაჭრობის № 15 მაღაზიაში შოკოლადის კამფეტს ჩრჩილი გაუჩნდა იმიტომ, რომ შენახული აღმოჩნდა ჭუჭყიან ადგილზე. ნესტმა კამფეტი დააზიანა, ჭუჭყმა ჩრჩილი გაუჩინა, ხოლო მაღაზიის დირექტორი დ. გუჯაბიძე არხეინად გრძნობდა თავს. მაღაზია იზარალებს, მომხმარებელი უკმაყოფილო იქნება, მერე რა! დირექტორი ხომ დირექტორად დარჩება...

კომუნიზმის მშენებელთა ნათელი ცხოვრების ფონზე მრუდედ გამოიყურებიან წუნმკეთებლები, სავაჭრო ქსელის ზოგი ბედოვლათი მუშაკი.

დ. ლომთაძე.

## რატომ არ არის მაღაზიებში დიდი ზომის ფეხსაცმელი და ტანსაცმელი?

განვიზრახე შემეძინა ახალი ფეხსაცმელი, კალოშები და თბილი ტანსაცმელი. ჩოხატაურის რაიონის მაღაზიებში ვერსად ვერ წავაწყდი ჩემთვის გამოსადეგ ასეთ საქონელს. ოქტომბერში, სამსახურის საქმეების გამო, მომიხდა თბილისში ჩამოსვლა და გადავწყვიტე შემთხვევა გამომეყენებინა. გამიკვირდა, რომ ვერც თბილისის სავაჭრო ქსელში ვიშოვე ჩემი სარგო ფეხსაცმელი, თუმცა ბევრი მაღაზია შემოვიარე.

— 43 ნომერზე მეტი ზომის ფეხსაცმელი არ მოგვდის! — ფეხსაცმლის ყველა სპეციალიზებული მაღაზიიდან ასეთი პასუხით მისტუმრებდნენ.

ჩემი ზომის ვერც სხვა ჩასაცმელი ვიშოვე თბილისში. საკითხავია, რა დააშავეს იმ ადამიანებმა, რომლებსაც ბუნებამ დიდი ტანი მისცა?

ვ. ჩხიკვაძე,
ჩოხატაურის ჩხავერის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ბუღალტერი.

მოწინავე გამოცდილება—მასებს

## მეცხოველეობის მეტი პროდუქტებისათვის მებრძოლი

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ ცხაკაიას რაიონის სოფელ ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა და პირველადი პარტიული ორგანიზაცია სერიოზულად ჩაუფიქრდნენ საქმეს. პირველ რიგში ყურადღება მიექცა პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებას, კეთილმოწყობილი ბინების აგებას, მტკიცე საკვები ბაზის შექმნას და მიღებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. ყველაფერი ეს ერთბაშად არ გაკეთდებოდა. დაიწყო ბეჯითი შრომის წლები...

პარტიის ახალმა ლოზუნგმა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ — კოლმეურნეთა დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. მეცხოველეებმა გასულ 10 თვეში სახელმწიფოს ჩააბარეს 7.371 კილოგრამი მსხვილფეხა პირუტყვისა და ღორის ხორცი, 2.827 კილოგრამი ყველი, 889 ცალი კვერცხი, რითაც წლიური დავალებები გადამეტებით შეასრულეს. ამავე პერიოდში თვითეულ ძროხაზე მიღებულია 1.024 კილოგრამი რძე; გეგმა 900 კილოგრამის მიღებას ითვალისწინებს.



მ. ბელქანია.

წარმატების მოპოვებაში დიდი წვლილი შეაქვს რაიონში ცნობილ მეცხოველეს, ამ კოლმეურნეობის წევრს მიხეილ ბელქანიას. მან 1 ნოემბრისათვის მოსავლელად მისთვის მიჩენილი 9 ჯიშიანი ძროხიდან თვითეულს მოწველა 1.720 კილოგრამი რძე.

მ. ბელქანია თითქმის ბავშვობიდანვე მუშაობს ამ დარგში, სწავლობდა ზოოტექნიკურ კურსებზე, ბეჯითად უსმენს სპეციალისტების რჩევას. მისი უპირველესი საზრუნავია ბერწიანობის მოსპობა, ჯანსაღი პირუტყვის გაზრდა, მეტი პროდუქტების მიღება. იგი ძროხებს აშრობს მოგებამდე 2 თვით ადრე. კვებისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ულუფაში პარკოსნების თივის შეტანას. რადგან მასში არის ცილა, მინერალური ნივთიერებანი და ვიტამინები. წველის შეწყვეტამდე 10 დღით ადრე კვების რაციონიდან იღებს სილოსსა და ძირხვენებს, ხოლო 5 დღით ადრე — კონცენტრატებს. ძროხების გაშრობისას ზაფხულში წყვეტს მათს კვებას მწვანე საკვებით. თუ შემოდგომაა ან ზამთარი, ძროხების დარწყულებას ახდენს პირუტყვის სადგომის ტემპერატურის მქონე წყლით. გაშრობიდან მეთხუთმეტე დღეს ძროხებს აძლევს საკვების სრულ ნორმას.

პირუტყვისათვის კოლმეურნეობაში მუდამ არის ხარისხოვანი თივა, ჩალა, საკვები გოგრა და საზამთრო, ქატო, კოპტონი. საფურაჟე სიმინდი, სილოსი. საზამთრო და გოგრა წელსაც შენახული აქვთ 31 ტონა, ქატო და კოპტონი — 12 ტონა; საფურაჟედ გამოჰყოფენ 80 ტონა სიმინდს, დაასილოსეს 580 ტონა საკვები. უხეში საკვების საერთო მარაგი 6.400 ცენტნერს აღწევს. შემოდგომაზე მ. ბელქანია ძროხებს დროდადრო კვებავს სოიანარევი ბალახით, ახდენს გადაძოვებას საამისოდ განკუთვნილ ფართობზე, ნაკვეთების მორიგეობის წესით.

მაკე ძროხები, საარსებო საკვების გარდა დამატებით უნდა იღებდნენ საკვებს ხბოს განვითარებისათვის. ამიტომ მ. ბელქანია საკვების რაოდენობას უდიდებს სუსტ მაკე პირუტყვს, მეტ მარილსა და სხვა მინერალურ ნივთიერებებს აძლევს. მოგების შემდეგ ხბოები ჰყავს ცალკე, საამისოდ მოწყობილ განყოფილებაში. ხბოებს პირველ დღეებში აძლევს დედის რძეს, შემდეგ აჩვევს ხელზე კვებას, ბალახისა და სხვა ნორჩი მცენარეულის მიღებას.

წარჩინებული მეცხოველე საჭირო ყურადღებას უთმობს პირუტყვის ინდივიდუალური ხასიათის გამოცნობას, მიდრეკილებას ამა თუ იმ საკვებისადმი. მეწველი ძროხა, რომელიც დღეში 20 კილოგრამ რძეს იძლევა, იღებს 14 კილოგრამ კონცენტრატსა და სხვა საკვებს. ძროხებს ესაჭიროებათ მინერალური ნივთიერებანი. მათ დღეში ეძლევათ 70-80 გრამი დაშლილი კირი და სუფრის მარილი.

პირუტყვი იწველება ორჯერ — დილით ადრე და საღამოს, დაახლოებით 8 საათზე. ამ ვადების ზუსტად დაცვა მეტად სასარგებლო აღმოჩნდა. როგორც თვითონ მ. ბელქანიამ განაცხადა, ძროხები ეჩვევიან დროს მწველავი კი სხვა სამუშაოებსაც ასწრებს და ზედმეტად არ იღლება.

გამოცდილი მეცხოველე სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია სამტრედიის რაიონის ძველი სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავ ქენია მუქერიასთან. შეჯიბრება სასურველ შედეგს იძლევა. თვითეული მათგანი ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

ბ. მილიუტინი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# ლიტერატურა და ხელოვნება

ბიბლიოთეკა

## თვითმოქმედ ხელოვანთა საინტერესო სპექტაკლი

ჩვენი რესპუბლიკის ცნობილ თვითმოქმედ თეატრალურ კოლექტივებს შორის ერთ-ერთი თვალსაჩინოა ამბროლაურის სარაიონო კულტურის სახლის თეატრალური კოლექტივი. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე აქ სისტემატურად იდგმება როგორც მცირე, ისე დიდი ფორმის დრამატურგიული ნაწარმოებები.



ამბროლაურელმა სცენისმოყვარეებმა მაყურებელს გააცნეს როგორც ქართული ისტორიული და თანამედროვეობის ამსახველი პიესები (სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი", ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი", დ. ერისთავის „სამშობლო", გ. დარასელის „კიკვიძე", რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი" და სხვ.), ასევე რუსი და დასავლეთ ევროპის კლასიკოსებისა და საბჭოთა მწერლების დრამატურგიული ნაწარმოებები.

ყოველ ახალ დადგმას თეატრალური კოლექტივი სისტემატურად უჩვენებს რაიონის მცხოვრებთ და აწყობს საგასტროლო მოგზაურობას მეზობელ რაიონებში — ონსა და ცაგერში. რამდენიმე თვის წინ თეატრალური კოლექტივი საგასტროლოდ ეწვია ქ. ქუთაისს, სადაც უჩვენა სპექტაკლი „სისხლის ცრემლები". საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით ამბროლაურელი თვითმოქმედი ხელოვანნი ამავე სპექტაკლით ესტუმრნენ ამ დღეებში თბილისს. პიესის ავტორია მწერალი აკაკი გეწაძე. ისტორიული დრამა „სისხლის ცრემლები" მოგვითხრობს იმ ეპოქაზე, როცა სამთავროებად დაქუცმაცებულ საქართველოში ოსმალები დათარეშობდნენ.

თბილისელ მაყურებელთათვის ახლო ნაცნობია ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედი გიგა ჯაფარიძე. საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე, მან როგორც ხალხურმა მთქმელმა და ეროვნულ საკრავ სტვირზე შემსრულებელმა დიდი წარმატება მოიპოვა და მრავალჯერ იქნა დაჯილდოებული. ამჯერად გ. ჯაფარიძე თბილისელ მაყურებელთა წინაშე წარსდგა როგორც რეჟისორი, მხატვარი და მსახიობი. ნიჭიერმა შემოქმედმა სწორად გაიგო ა. გეწაძის პიესის იდეა და გააზრებული მიზანსცენებით შექმნა საინტერესო სპექტაკლი. სერიოზული მუშაობა გაუწევია რეჟისორს მონაწილეებთან მხატვრული სცენიური სახეების ხასიათების გახსნაში. სათანადო სიმაღლეზეა მხატვრული განათების კულტურაც. ბევრი სცენის საინტერესოდ გადაწყვეტაში კარგად განხორციელებულია შუქის ეფექტები. პროფესიულ თეატრების მსგავსად აქაც გამოყენებულია რადიოფირზე ჩაწერილი მუსიკალური ნაწარმოებები.

ეს მაშინ, როცა სცენისმოყვარეთა სპექტაკლი მიმდინარეობს თვითმოქმედი ორკესტრის თანხლებით.

თბილისელმა მაყურებლებმა სცენისმოყვარეთა ამ სპექტაკლში გ. ჯაფარიძის გარდა (რომელიც გიორგის როლს ასრულებდა) გაიცნეს სხვა ნიჭიერი თვითმოქმედნიც. ლ. ტურძილაძე, რომელიც სპექტაკლში როსტომ ერისთავის როლს განასახიერებდა, ამბროლაურის პირველი საშუალო სკოლის დირექტორია. სოლომონ მეფის როლის შემსრულებელი გ. დვალიც პედაგოგია. კულტურის სახლის თანამშრომლები არიან თ. მაცაბერიძე (როსტომის მეუღლე მარიამი) და ნ. შაუთიძე (ხათუნა). ძველი სცენისმოყვარეები არიან სხვადასხვა დაწესებულების მომუშავენი — კ. ლაშხი, კ. წერეთელი, ვ. წულუკიძე, ვ. ბაკურაძე, ა. ჭელიძე, გ. სხირტლაძე, გ. აბაიშვილი. მათ პარტნიორობას უწევენ ახალგაზრდები ზ. ბედელაძე, ჯ. გონგაძე, ბ. ჭელიძე, ც. თომაძე, შ. ჯაფარიძე, ო. დარახველიძე, კ. ზარკალიანი, ჯ. გოგოლაშვილი და სხვები.

თბილისის რკინიგზელის სახლში წარმოდგენილმა სცენისმოყვარეთა სამმა სპექტაკლმა ნათელყო, რომ ჩვენი მაყურებელი პროფესიულ კოლექტივებთან შედარებით ნაკლებ ინტერესს როდი იჩენს თვითმოქმედების ხელოვნებისადმი.

კარგი იქნება, თუ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველო და ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი კვლავაც გააცნობენ თბილისელ მაყურებლებს რესპუბლიკის სხვა რაიონების მოწინავე თვითმოქმედ თეატრალურ კოლექტივებს.

გ. ძნელაძე.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: სცენა სპექტაკლიდან „სისხლის ცრემლები". მარცხნიდან — როსტომ ერისთავი — ლ. ტურძილაძე, გიორგი — გ. ჯაფარიძე.

ფოტო თ. არჩვაძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

## ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა ახალი გამოცემები

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა" ცალკე წიგნებად დიდი ტირაჟით გამოსცა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები: „აჩრდილი"; „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან"; „მგზავრის წერილები"; „კაცია ადამიანი?!"; „მეფე დიმიტრი თავდადებული" და „სარჩობელაზედ".

საბლიტგამმა გამოსცა აგრეთვე „ოთარაანთ ქვრივი", რომელიც კარგად არის დასურათებული.

## საბჭოთა მწერლების ნაწარმოებები — ფრანგულ ჟურნალში

გამოჩენილი ფრანგი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი ლუი არაგონი ფრანგ მკითხველებში ფართოდ ეწევა საბჭოთა ლიტერატურის, კერძოდ, ქართული ლიტერატურის, ნაწარმოებთა პროპაგანდას. მას ეკუთვნის წიგნი „საბჭოთა ლიტერატურების შესახებ", რომლის საგრძნობი ნაწილი დათმობილი აქვს ქართული ლიტერატურის წარმომადგენელთა შემოქმედების განხილვას.

ლუი არაგონი არა მარტო კრიტიკული შრომებით აცნობს ფრანგ მკითხველს ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიულ მოვლენებს, არამედ უშუალოდ უწყობს ხელს ქართველ მწერალთა ნაწარმოებების სისტემატურ თარგმნას ფრანგულ ენაზე. ამას წინათ ცნობილმა ყოველთვიურმა ფრანგულმა პროგრესულმა ლიტერატურულმა ჟურნალმა „ევროპამ", რომლის გამოცემებში მონაწილეობს ლუი არაგონი, 1957 წლის ოქტომბერ-ნოემბრის სპეციალური ნომერი მიუძღვნა საბჭოთა ლიტერატურას (1917-1957 წლები). გამოჩენილი მწერლების მ. გორკის, ი. ერენბურგის, ა. ფადეევის, მ. შოლოხოვის ნაწარმოებთა ფრანგული თარგმანების გვერდით გამოქვეყნებულია ცნობილი ქართველი პოეტის ტიციან ტაბიძის ავტობიოგრაფია და ლექსები „ავტოპორტრეტი", „პეტერბურგი".

დ. გველესიანი.




ს უ რ ა თ ზ ე: ჟურნალი „ევროპა".

## „დაჭრილი არწივი"

მიმდინარე სეზონში ბათუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა გ. ბერძენიშვილის ოთხმოქმედებიანი პიესა „დაჭრილი არწივი".

სპექტაკლის დადგმა განახორციელეს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა შ. ინასარიძემ, აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ფილიპოვმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კომპოზიტორმა მ. სებუამ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ქორეოგრაფმა ე. ხაბაძემ.

როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ნ. თეთრაძე, ი. კობალაძე, მ. ხინიკაძე, ა. მგელაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ხ. მეგრელიძე, ლ. გურგენიძე, გ. იმნაიშვილი, მ. ჯალაღონია, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტები გ. გოგიბერიძე, ლ. აფხაზავა, ხ. მიქელაძე, ი. ზოიძე, შ. გეჯაძე, ს. თურმანიძე, ი. კაიკაციშვილი, ვ. ჩხაიძე და სხვები.

## განზე კედლებო

ასე ნაწყენი ჯერ არასოდეს ყოფილა ნოე. თხუთმეტი წელია სახლმმართველად მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ წასჩხუბებია მდგმურებს, ბევრთან ჰქონია უთანხმოება სხვადასხვა წვრილმანის გამო, მაგრამ ასეთი შეურაცხყოფა, როგორიც ირაკლიმ მიაყენა, არასოდეს უგრძვნია მობინადრისაგან მერე რა მამასავით უვლიდა, როგორ უწყობდა ხელს...

თვრამეტი წლისა იყო ირაკლი როცა სოფლიდან ჩამოვიდა და იმ სახლში დაბინავდა, რომელსაც გარედან ჯერ კიდევ ემჩნევა აშენების თარიღი — „1905 წ."

მანამდე იქ ირაკლის ბიძამ გაატარა თავისი სტუდენტობა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა და სოფელში წავიდა. უფრო ადრე ირაკლის მამის ბიძაშვილი ცხოვრობდა. ის ახლა ცნობილი ინჟინერია. ერთი სიტყვით, ამ ძველმა სახლმა სპეციალისტთა მთელი მოდგმა გამოზარდა. ახლა კი ისტორიკოსს ზრდიდა...

ამიტომ იყო, რომ ნოე როცა კი შეესწრებოდა მეცადინეობაში გართულ ირაკლის, ოთახის ჭერს აჰხედავდა და ხუმრობით ეტყოდა: „რასაც ხედავ, ბიძია, ჯერ მისი ისტორია არ იცი და უნახავს ისწავლი? ნუ კი ეხუმრები ამ ისტორიულ ოთახს. შვიდ კაცს დაამთავრებინა უმაღლესი. — მერე ირაკლის შემოთავაზებულ სოფლურ არაყს გადაჰკრავდა და დაუმატებდა, — ხუთ წელშია აშენებული ეს სახლი, ბიძია, ცხრას ხუთში".

ირაკლის მოსწონდა სახლმმართველის თავისებური მახვილგონიერება, მისი კეთილი ხასიათი და ამიტომ ყოველთვის ხალისით ხვდებოდა მის სტუმრობას.

ასე მამაშვილურად იყვნენ მთელი ოთხი წლის მანძილზე ნოე და მისი მობინადრე მაგრამ ახლა? ახლა რა დაემართა ირაკლის? რა ელდა ეცა?

ქალს ირთავს ბიჭი! ქორწილს აპირებს, მაგრამ ნოეს რა. ამხანაგებს პატიჟებს, პედაგოგები მიუწვევია, მეზობლებიც ემზადებიან ქორწილში საქეიფოდ. ნოესათვის კი სიტყვა არ უთქვამს ირაკლის, თვალიც არ ჩაუკრავს და არც სხვა რამეთი უნიშნებია „თქვენც, მესტუმრეთ ჩემი ბედნიერების დღესო". მერე და რა მაჭარი ჩამოიტანა სოფლიდან! რა გოჭი და ინდაური!

„მაინც რა დავუშავე, რა ვაწყენინე ასეთი? — მკითხაობდა ნოე და თავის ფართო ფეხსაცმლით მიხვეტავდა ფოთლებით გადაყვითლებულ ტროტუარს — გუშინწინ სახლმმართველობაში განცხადება შემოიტანა, კიბე და ოთახი შემიკეთეთო, და ასე უცბად რა შემეძლო, ანდა ამ სიცივეში რემონტი გაგონილა? ახლა აუღია და ოსტატი დაუქირავებია, თვითონ აკეთებს ბინის რემონტს საქორწილოდ. აფსუს, რა მაჭარი დაილევა უჩემოდ! მე სულელს კი მეგონა თამადად დამნიშნავს-მეთქი".

* * *

— მე კი მეგონა, იატაკის შეღებვა გინდოდა, — თქვა მოხუცმა მღებავმა.

— არა, ჯერ კედლებია მთავარი! — უპასუხა ირაკლიმ.

— ეგ ხომ ეგრეა... პატარძალს ასეთ ოთახში ვინ შემოიყვანს, აბა, ვნახოთ, როგორი შპალერი იყიდე.

ირაკლიმ თოკით შეკრულ შპალერთა ხვიებიდან ერთ-ერთი გამოაძრო და გაშალა, „სიგელ-გუჯრებივით არის", გაიფიქრა მან.

— ყოჩაღ, კარგი ფერებია... ლენინგრადისაა! — შეაქო მღებავმა.

— თუ არ დაიღალეთ, ბარემ ახლავე შეუდექით, — თითქმის შეევედრა ირაკლი.

— წებო რომ არა მაქვს?

— მე თვითონ გავიქცევი, ოღონდ მითხარით, სად იყიდება.

ირაკლი ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა. მოხუც მღებავს არც გაუგია მისი შემოსვლა — კედლიდან ძველი შპალერი ჩამოეხია და ახლა კარისაკენ ზურგშებრუნებული რაღაცას დასცქეროდა. „ცოტა ყურს აკლია", გაიფიქრა ირაკლიმ და განგებ მაგრად გააბიჯა იატაკზე. მოხუცი არ იხედებოდა. ოდნავ გაოცებულმა ირაკლიმ მკლავში ხელი წაავლო.

— ხედავ ამას? — ყრუდ თქვა მღებავმა.

— რა მოხდა ბაბუა?!

— კიდევ კარგი, ჩამოვხიე და ისე არ დავიწყეთ შპალერის გაკვრა. ხედავ რა სქელია?

ირაკლიმ დახედა. მოხუცი მღებავი ხელში ატრიალებდა კედლიდან ჩამოგლეჯილ და ერთმანეთზე დაკრულ რამდენიმე შპალერის შრეს, მოზრდილი წიგნის სიმსხო ექნებოდა. კედელზე კი ნიშივით ღრმული გაჩენილიყო, თითქოს აგურები გამოილესო.

— ექვსი შპალერია ერთმანეთზე დაკრული! — დაითვალა ირაკლიმ.

— მაშ! და ოთახიც შეუვიწროებია. — მოხუცმა სცადა განეცალკევებინა ერთმანეთისაგან ჯერ თითებით ეწვალა, მერე დანაც მოიშველია. დიდი ხნის დაწებებული შპალერები ტკაცუნით შორდებოდნენ ერთმანეთს. მღებავი განცალკევებული შპალერის ნახევს დააცქერდა.

— რაღაც ნახატია! — თქვა მან და ფანჯრისკენ წაიწია. — აქ მო, ირაკლი, ნახე, ნახე რა არის! — უეცრად წამოიძახა მღებავმა.

ირაკლი მოხუცს მიუახლოვდა, უნებურად შეახო ხელი ბეჭზე.

— ორთავიანი არწივი?! — წამოიძახა ირაკლიმ.

— მააშ ეს შპალერი ნიკოლოზის დროს გაკრულია.

— ვიცი, ძველი სახლია, ხუთ წელშია აშენებული...

— ჰო, შვილო... აი, შენ რომ ისტორიკოსი იყო, ბევრი რამე გეცოდინებოდა. — თქვა მოხუცმა. ირაკლის გაეღიმა, ლოყები ოდნავ შეუწითლდა. მღებავმა ისევ მოიმარჯვა დანა და შპალერის მეორე შრე გააცალკევა.

— აბა, ახლა ამ ნახატს დახედე, ხედავ ყაყაჩოს ყვავილებს? ასეთი შპალერი მეც გამიკრავს.

— მართლა?

— მაშ, საზღვარგარეთ ყიდულობდნენ მეშჩანები...

კარგი ქირურგივით ხმარობდა დანას მოხუცი მღებავი და შრეს შრეზე აცალკევებდა, ზოგს ცნობდა და არქეოლოგივით მიახლოებით მაინც ათარიღებდა, ხანდახან ირაკლის გახედავდა და წაილაპარაკებდა:

— ისტორიულზე შედი, არ წააგებ, ქვეყნის ამბები გეცოდინება!

მოხუცმა ცოცხს დაავლო ხელი და კედლიდან ჩამოხეულ-ჩამოფხეკილი სიბინძურე გარეთ გახვეტა.

სამი საათის შემდეგ კირით შესვრილ მაგიდას უსხდნენ მღებავი და მასპინძელი და გემრიელად შეექცეოდნენ ღორის ხორცს.

— ისე კი, ზაფხულში უნდა გეფიქრა რემონტზე, უკვე აცივდა, ახლა გვიან გაშრება კედლები, — თქვა მოხუცმა, მაჭარი გადაჰკრა და შელამაზებული კედლები მოათვალიერა. — ამჩნევ? ოთახმა ზომაში მოიმატა... რატომ გეღიმება, არითმეტიკა ხომ მაინც იცი... იანგარიშე ჩამოხეული შპალერის სისქე ოთხივე კედელზე... რომ იტყვიან განზე კედლებოო, სწორედ ისე გამოვიდა შენს ქორწილზე.

— მე სხვა მიზეზით გამეღიმა, — მოიბოდიშა ირაკლიმ და ისევ გაეღიმა, — თუ კი ოთახმა მოიმატა, ახლა კიდევ ერთი კაციც უნდა დავპატიჟო ქორწილზე.

* * *

— როგორ თუ მოიმატა?! — პირი დაალო ნოემ. — მე გამიგია, რომ სიცივეში ყველაფერი პატარავდება.

— მოიმატა, ძია ნოე. თქვენ რომ გეხვეწებოდით, რემონტი გაუკეთეთ-მეთქი, ახლა მე თვითონ გავუკეთე რემონტი, ძველი შპალერი ჩამოვფხიკეთ და იმსისქე აღმოჩნდა, რომ ოთახი გაიზარდა...

ირაკლიმ დაწვრილებით უამბო სახლმმართველს მოხუცი მღებავის „არქეოლოგიური მოღვაწეობის" ამბავი და ბოლოს სთხოვა: — აუცილებლად მეწვიეთ ქორწილზე, თორემ ძალიან მეწყინებაო.

ნოემ თავის კანტორას თვალი მოავლო და რომ დაინახა, თანამშრომელთაგან არავინ იყო, ერთბაშად აპილპილდა.

— შენ ვინ გგონივარ მე, ჭუჭყის ადგილზე გინდა დამსვა? ოთახიდან ქვეყნის სიბინძურე გაიტანე და მერე გაგახსენდი? წადი, ბიძია, წადი და ღმერთმა მშვიდობა მოგცეს...

— როგორ გეკადრებათ, ძია ნოე!

— წადი, ბიძია, ქორწილზე ტყუილად ნუ მელოდები!

მაგრამ ნოე მაინც მოვიდა ქორწილზე და ირაკლის ბედნიერება მიულოცა.

რას არ მოვიდოდა!



ედიშერ ყიფიანი.

## ინდონეზიის მთავრობის დადგენილება

[illegible]

## შეწყდეს ცეცხლთან თამაშის პოლიტიკა!

### ეგვიპტის მშვიდობის მომხრეთა ეროვნული კომიტეტის განცხადება

[illegible] ...ხოვთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მათმა მოკავშირეებმა შეწყვიტონ ცეცხლთან თამაშის ეს პოლიტიკა, რომელიც, თუ გაგრძელდა, გარდუვალად გამოიწვევს თვით მათს დამარცხებას“.

## საფრანგეთისა და ისრაელის კომუნისტური პარტიების ერთობლივი განცხადება

პარიზი, 9 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ“ დღეს გამოაქვეყნა ტექსტი საფრანგეთისა და ისრაელის კომუნისტური პარტიების დელეგაციების ერთობლივი განცხადებისა, რომელთა მოლაპარაკება გაიმართა პარიზში 1 და 2 დეკემბერს.

განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია დიდი მნიშვნელობა მშვიდობის მანიფესტისა, რომელიც მიიღო კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირმა მოსკოვში, და ნათქვამია, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა თანამედროვე ისტორიული განვითარების ძირითადი საკითხია. დელეგაციებმა დაგმეს „ეიზენჰაუერის დოქტრინა“, ხაზგასმით აღნიშნეს რა, რომ იგი არის ომისა და ხალხთა ახალი კოლონიური დამონების ნამდვილი გეგმა. მათ აღნიშნეს, რომ ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული გეგმები სირიის მიმართ, იმპერიალისტური ინტრიგები და იმპერიალისტთა აშკარა ჩარევა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საშინაო საქმეებში დაძაბულობის მთავარი მიზეზია ამ რაიონში.

ორი პარტიის დელეგაციებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ნატოს სამხედრო გეგმები დიდ საფრთხეს უქმნიან მშვიდობის საქმეს.

მათ განაცხადეს, რომ მტკიცე ბრძოლას აწარმოებენ მარქსიზმ-ლენინიზმზე რევიზიონისტთა თავდასხმის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის მიმართ ცილისწამების წინააღმდეგ.

## დასავლეთში ძლიერდება განწყობილება სსრ კავშირთან მოლაპარაკების სასარგებლოდ

### ამერიკელი კორესპონდენტის აღიარება

ნიუ-იორკი, 9 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი მიდლტონი ლონდონიდან იუწყება, რომ ბრიტანეთის კუნძულებსა და კონტინენტზე ძლიერდება განწყობილება საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების სასარგებლოდ.

კორესპონდენტი აღიარებს, რომ ამ განწყობილების გამოხმაურება სულ უფრო ძლიერი ხდება, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ წრეებში ცდილობენ ჩაახშონ იგი. ლონდონში ისინიც კი, წერს მიდლტონი, ვინც აშკარად გმობს ამ განწყობილებას, აღიარებენ, რომ მას ღრმა ფესვები აქვს და მომხრეებს პოვებს ბევრ წრეში.

მიდლტონის სიტყვით, მოლაპარაკების იდეა მხარდაჭერით სარგებლობს, რადგან დასავლეთ ევროპის ქვეყნებში იზრდება შიში, რომ ნატოს საბჭოს თათბირი პარიზში „გამოიწვევს, ბოლოს და ბოლოს, კონტინენტის გათიშვას და აღმოსავლეთი და დასავლეთი კვლავ შეინარჩუნებენ ანტაგონისტურ როლებს“.

აღნიშნავს რა, რომ ნატოს საბჭოს თათბირი პარიზში ნავარაუდევია იმისათვის, როგორც დასავლეთის ოფიციალური წარმომადგენლები აცხადებენ, რომ „გააერთიანონ ნატოს რესურსები, შექმნან მეტი იარაღი და გაუსწორონ საბჭოთა კავშირს სამართავი ყუმბარების მშენებლობის დარგში“, კორესპონდენტი აცხადებს: „ატლანტიკის პაქტის ზოგიერთი ქვეყნის ხალხებს ეს მოეჩვენებათ ახალ ნაბიჯად მილიტარიზმის გზაზე, რასაც ისინი ასე დიდხანს ერიდებოდნენ“. სხვებისათვის, აღნიშნავს იგი, როგორც, მაგალითად, დასავლეთ გერმანიისათვის, ბაზების შექმნა საშუალო რადიუსის მოქმედების რაკეტებისათვის „ნიშნავს საფრთხის გადიდებას“.

„შეშფოთება ძლიერდება იმის ფიქრით, — წერს დასასრულ მიდლტონი, — რომ დასავლეთის სახელმწიფოთა ერთადერთი პასუხი საბჭოთა კავშირის წარმატებაზე არის სამხედრო ძალების განმტკიცება... სულ უფრო ხშირად გმობენ ყოველგვარ დიპლომატიურ ნაბიჯს, რომელსაც შეუძლია გააძლიეროს დასავლეთისა და საბჭოთა კავშირის ახლანდელი უთანხმოება“.

## იფნის ამბების გამო

### ესპანეთ-მაროკოს ურთიერთობის გამწვავება

პარიზი, 9 დეკემბერი. (საკდესი). პრესის ცნობებით, იფნში გრძელდება ბრძოლა ესპანეთის ჯარებსა და აჯანყებულთა რაზმებს შორის, რომლებიც იბრძვიან იმისათვის, რომ იფნის ტერიტორია, რომელიც ესპანეთის კოლონიურ მმართველობაშია, შეუერთდეს მაროკოს. რაბატის (მაროკო) გაზეთმა „ალ-ალამმა“ დღეს გამოაქვეყნა აჯანყებულთა შტაბის კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ ბრძოლების განმავლობაში 1 დეკემბრიდან მოკლულია 188 ესპანელი ჯარისკაცი და 2 ოფიცერი, რამდენიმე ათეული ესპანელი ჯარისკაცი დაჭრილია და 19 წაყვანილია ტყვედ.

მაროკოს პრესა იუწყება, რომ, არ ძალუძთ რა შეაჩერონ აჯანყებულთა ჯარების მოქმედება, ესპანეთის ჯარები რეპრესიებს მიმართავენ იფნის ტერიტორიის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. ესპანეთის ავიაცია კვლავ ბომბავს აჯანყებულთა მიერ განთავისუფლებულ დასახლებულ პუნქტებს.

მაროკოში დიდი აღშფოთება გამოიწვია ესპანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდების გადაჯგუფებამ მაროკოს ტერიტორიულ წყლებში. ესპანეთის ესკადრა, რომელიც მაროკოს ნაპირებისაკენ მიდის, შედგება 17 ხომალდისაგან, რომლებზეც, როგორც გაზეთი „ალ-ალამი“ აღნიშნავს, არიან „ჯარები და საბრძოლო საჭურველი“.

მაროკოს მთავრობამ საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს ბენჯელუნს დაავალა გააცნოს უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლებს რაბატში მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა იმის შედეგად, რომ მაროკოს ტერიტორიულ წყლებში არიან ხომალდები ესპანეთის ალმით.

ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ მაროკოს ელჩმა მადრიდში ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს პროტესტი განუცხადა მაროკოს ტერიტორიულ წყლებში ესპანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დემონსტრაციის წინააღმდეგ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სწორედ ესპანეთის მთავრობას ეკისრება პასუხისმგებლობა „ასეთი ფაქტების შესაძლო მძიმე შედეგებისათვის, ფაქტებისა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო სამართალს“.

## ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობის მე-11 ტურში საქართველოს წარმომადგენელმა ნ. გაფრინდაშვილმა დაამარცხა ლ. რუდენკო. ე. კაკაბაძისა და ბ. ვაისბერგის პარტია გადაიდო.

მე-12 ტურში ნ. გაფრინდაშვილმა პირველობის გათამაშების ცხრილში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა, 24-ე სვლაზე მოუგო ე. მალინოვას. ე. კაკაბაძე და ვ. ბორისენკო ყაიმზე შეთანხმდნენ.

ე. კაკაბაძე და ბ. ვაისბერგი მე-11 ტურის გადადებულ პარტიაში ყაიმზე შეთანხმდნენ.

მე-13 ტურში ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეებმა ე. კაკაბაძემ და ნ. გაფრინდაშვილმა თანაბარ მდგომარეობაში გადადეს პარტიები ლ. რუდენკოსთან და ტ. ზატულოვსკაიასთან.

13 ტურის შემდეგ საკავშირო ჩემპიონატის ლიდერია ვ. ბორისენკო (9,5 ქულა). ნ. გაფრინდაშვილს 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ე. კაკაბაძეს — 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

## ფინალური მატჩი

თბილისში დამთავრდა ოქტომბრის ზეიმისადმი მიძღვნილი თასის გათამაშება ფეხბურთში. ჯილდოს მოსაპოვებლად იბრძოდა 40-მდე გუნდი. ფინალში გავიდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტისა და თბილისის ახალგაზრდობის ფეხბურთის სკოლის სპორტსმენთა პირველი კოლექტივები.

დასკვნით ასპარეზობაში გაიმარჯვა ახალგაზრდობის ფეხბურთის სკოლის გუნდმა ანგარიშით 1:0 და თასი მოიპოვა.

## პიანინოები, რადიომიმღებები სოფლის მოსახლეობას

სამტრედია. (საკ. კორ.). უკანასკნელ წლებში გაიზარდა სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილება ისეთ საქონელზე, როგორიც არის პიანინო, რადიომიმღები, მაცივარი და სხვები.

მარტო ცეკავშირის სამტრედიის სარაიონთაშორისო სავაჭრო ბაზამ მისი მომსახურების რაიონებში რაიკოოპკავშირების საშუალებით უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში სოფლის მოსახლეობას მიჰყიდა 10 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების კულტსაქონელი. წელს სოფლის მშრომელებმა შეიძინეს 136 პიანინო, 4.020 რადიომიმღები, 256 მაცივარი, 1.735 საკერავი მანქანა, აგრეთვე მტვერსაწოვები, სარეცხი მანქანები და სხვა საქონელი.



შავი ზღვის სანაპირო კურორტებზე ამჟამად კვლავ თბილი ამინდები დგას. სურათზე: სანატორიუმ „სოხუმის“ დამსვენებელთა ჯგუფი ზღვის ნაპირზე.

ფოტო გ. ტოლმაჩოვისა.

## მონადირის საჩუქარი

კურდღლები, ქათმები, ციცრები, მტრედები, იადონები და სხვა ცხოველები, ფრინველები ჰყავთ ცოცხალ კუთხეში ვეჯინის საშუალო სკოლის (გურჯაანის რაიონი) მოსწავლეებს. მათ სიყვარულით უვლიან მოსწავლეები ნანული ყალაბეგაშვილი, ბონდო სეფიაშვილი და სხვ.

ამას წინათ ვეჯინელმა მონადირემ ვ. მჭედლიშვილმა დაიჭირა და სკოლას საჩუქრად გადასცა დათვის ბელი, რომელიც ახლა სკოლის ცოცხალ კუთხეში იზრდება. მას უვლის მე-7 კლასის მოსწავლე ნელი გველუკაშვილი.



სურათზე: ნელი გველუკაშვილი დათვის ბელთან.



## მომავალი მეტალურგებისათვის

სწავლისა და დასვენების შესანიშნავი პირობები აქვთ თბილისის მეტალურგიული ტექნიკუმის სტუდენტებს. მათ განკარგულებაშია ნათელი, დიდი აუდიტორიები, მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელშიც სხვადასხვა დარგის 40.000 ცალი წიგნია. დიდ სამკითხველო დარბაზში ერთდროულად 100 სტუდენტს შეუძლია მეცადინეობა. ტექნიკუმს აქვს კლუბი, რომლის მაყურებელთა დარბაზი 700-მდე კაცს იტევს, კარგად მოწყობილი სპორტული ბაზა. სტუდენტებისათვის მუშაობს საპარიკმახერო, ფეხსაცმლის სახელოსნო და სხვ.

ახალი სასწავლო წლიდან მეტალურგიული ტექნიკუმის სტუდენტებმა საუკეთესო საჩუქარი მიიღეს — საექსპლოატაციოდ გადაეცა საერთო საცხოვრებლის 5-სართულიანი ლამაზი შენობა. აქ 80-მდე ოთახში 260 სტუდენტი ცხოვრობს. კეთილმოწყობილია სტუდენტთა საცხოვრებელი ოთახები. ყველა მათგანში გაყვანილია რადიო, დგას კარგი საწოლები, მაგიდები, კარადები. ყველა სართულში მოწყობილია საერთო სარგებლობის სამზარეულოები.

ამ დღეებში ტექნიკუმის ახალი საერთო საცხოვრებელი სახლის პირველ სართულში სტუდენტებისათვის გაიხსნა სასადილო, რომლის დიდი დარბაზი ერთდროულად 120 კაცს ემსახურება. აქ ყოველდღიურად მზადდება საუზმეები, სადილები და ვახშმები — დაახლოებით 25 სხვადასხვა სახის ცხელი და ცივი კერძი, ყოველთვის არის საკონდიტრო ნაწარმი, ფუნთუშეული, ცხელი და უალკოჰოლო სასმელები.

სასადილოში დგას 3 დიდი მაცივარი, დიდი და ნათელი სამზარეულო მექანიზებულია.

სურათზე: ტექნიკუმის ახალი სასადილო.

ფოტო შ. გოქაძისა.

რედაქტორის მოადგილე

დ. სტურუა.

## ჩინელი სპეციალისტები საქართველოში

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ჯგუფი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის იან სიან-დუნის მეთაურობით, რომელიც სტუმრად იყო თბილისში, ორი დღის განმავლობაში ეცნობოდა თბილისის სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს.

დაახლოებით ოთხი საათი გაატარეს სტუმრებმა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის ინსტიტუტში. ინსტიტუტის დირექტორის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის მ. გაგოშიძის თანხლებით მათ დაათვალიერეს ლაბორატორიები, გაეცნენ ქართველ მეცნიერთა ნაშრომებს ახალი სამელიორაციო ტექნიკის შექმნის დარგში. ჩინელი სპეციალისტების ინტერესი გამოიწვია ა. დიდებულიძის კონსტრუქციის მძლავრმა საწვიმარმა აგრეგატმა და გრუნტის გასამკვრივებელმა მანქანამ.

ჩაის კულტურისა და სამთო მიწათმოქმედების მანქანათა სახელმწიფო სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში ჩინელ სპეციალისტებს უჩვენეს ქართველი კონსტრუქტორების მიერ შექმნილი ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების დასამუშავებელი მანქანები და მექანიზმები. სტუმრები დიდად დაინტერესდნენ სამთო მიწათმოქმედების მანქანებით, რაც იმით აიხსნება, რომ ჩაის პლანტაციების თითქმის 80 პროცენტი ჩინეთში გაშენებულია მთიან ადგილებში.

ჩინელმა სტუმრებმა დაათვალიერეს საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბა. გორში ისინი იყვნენ ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმში.

ბათუმში ყოფნისას ჩინელმა სპეციალისტებმა დაათვალიერეს ჩაქვის ვ. ი. ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა. ისინი იყვნენ მახარაძის რაიონში, სადაც გაეცნენ ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაობას.

გუშინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ჯგუფი ოდესაში გაემგზავრა. (საქინფორმი).

* * *

საქართველოში ჩამოსული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ენერგეტიკოსთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ჰიდროტექნიკური სექციის დირექტორის მოადგილე ჯან ძი-დუნი, გაეცნო ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაობას.

სტუმრები გაემგზავრნენ ქუთაისში, დაათვალიერეს საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრის ღირსშესანიშნავი ადგილები.

გუშინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ენერგეტიკოსთა ჯგუფი ერევანში გაემგზავრა. (საქინფორმი).

## მოკლედ

⊙ როგორც ჰოლანდიის პრესის ცნობებიდან ჩანს, ჰოლანდია თავის სამხედრო ხომალდებს თავს უყრის ინდონეზიის ნაპირებთან.

ანპის სააგენტო იუწყება, რომ უახლოეს ხანში დასავლეთ ირიანის ნაპირებისაკენ გაემართება საესკადრო ნაღმოსანი „დრენტე“, დასავლეთ ირიანისაკენ მიდის საესკადრო ნაღმოსანი „ევერტსენი“. დასავლეთ ირიანის ნაპირებთან დადის ფრეგატი „იოჰან მაურიტს ვან ნასო“. ჰოლანდიის მძიმე საესკადრო ნაღმოსანი „გრონინგენი“ დადის მალაიასა და სუმატრას შუა. იგი დაჰყვება ჰოლანდიის სავაჭრო გემებს.

⊙ 9 დეკემბერს პიტსბურგში (ამერიკის შეერთებული შტატები) დამთავრდა ტრამვაისა და ავტობუსის ტრანსპორტის 2.200 მუშის გაფიცვა. გაფიცულებმა მიაღწიეს იმას, რომ რამდენადმე გადიდდა მათი ხელფასი. გაფიცვა 56 დღეს გრძელდებოდა.

## სამეცნიერო სხდომა

ხვალ, 12 დეკემბერს საღამოს 8 საათზე ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბში შედგება ქირურგების, უროლოგების, ანატომების, ემბრიოლოგების და ჰისტოლოგების საზოგადოებათა გაერთიანებული სხდომა. აკადემიკოსი ა. წულუკიძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „თირკმლის და შარდსაწვეთის ქირურგიის ზოგიერთი სადავო და გადაუწყვეტელი საკითხი“. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ სხდომაზე მოხსენებით გამოვა პროფესორი ნ. ჯავახიშვილი-კომახიძე.

## ეგვიპტის შრომის კონფედერაციის თავმჯდომარე ანვარ სალამა საქართველოში

საქართველოში სამ დღეს იყო სტუმრად ეგვიპტის შრომის კონფედერაციის თავმჯდომარე ანვარ სალამა, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით. იგი ეცნობოდა რესპუბლიკის მშრომელთა სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას.

ანვარ სალამამ დაათვალიერა საქართველოს სსრ დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები.

ანვარ სალამა გაემგზავრა რუსთავში. ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მუშებმა და მოსამსახურეებმა გულთბილი, გულითადი შეხვედრა მოუწყეს მეგობრული ეგვიპტიდან ჩამოსულ სტუმარს.

შემდეგ ეგვიპტელი პროფკავშირული მოღვაწე ეწვია დიღმის მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობას.

ანვარ სალამა მიიღო საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ მ. მ. ლელაშვილმა.

გუშინ, 10 დეკემბერს, ეგვიპტის შრომის კონფედერაციის თავმჯდომარე ანვარ სალამა მოსკოვში გაფრინდა.

გამგზავრების წინ ანვარ სალამამ საქინფორმის კორესპონდენტს განუცხადა:

— საქართველოში ყოფნამ ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რომ საბჭოთა კავშირში მოპოვებულია დიდი წარმატებანი. საბჭოთა სახელმწიფო განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენს მშრომელებისათვის, ცხოვრების საუკეთესო პირობებს უქმნის მათ. სსრ კავშირში უდიდესი ყურადღება ექცევა მოზარდ თაობას.

მე, როგორც პროფკავშირულ მოღვაწეს, განსაკუთრებით მაინტერესებდა პროფკავშირთა საქმიანობა. დავრწმუნდი, რომ საბჭოთა პროფკავშირები უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებენ თავიანთი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

არ შეიძლება არ გამოვთქვა სიხარული მეგობრობისა და სიმპათიის იმ გულწრფელი გრძნობების გამო, რომლებიც ჩემდამი საქართველოში გამოიჩინეს. მე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ არსად არ შევხვედრივარ ისეთ გულთბილ მიღებას, როგორც საბჭოთა კავშირში. ეს ერთხელ კიდევ მარწმუნებს, რომ საბჭოთა ადამიანები ჩვენი ყველაზე მახლობელი და საიმედო მეგობრები არიან, რომ მათ არა მარტო კარგად ესმით ჩემი ხალხის ეროვნული მისწრაფებანი, არამედ მზადაც არიან ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ მას. (საქინფორმი).


**დღეს**

**თბილისის თეატრებში**

**რუსთაველის სახელობის** — ახალგაზრდა მასწავლებელი, **მარჯანიშვილის სახელობის** — წიწამური, **გრიბოედოვის სახელობის** — მეექვსე სართული, **სომხური დრამის** — განგის ქალიშვილი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ბორის ძნელაძე (აბონემენტი № 29, 7 ს.), **მუსიკალური კომედიის** — ნანატრი საქმრო.

**კინოთეატრებში**

**რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, სპარტაკი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** — ცეცხლოვანი ვერსები, **ამირანი** (ფართო ეკრანი) — დები, **თბილისი** — სახიფათო მსგავსება, **კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (I დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი) — შვიდი ცოდვილი, **26 კომისრის სახელობის** (II დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი) — შორეულ კუნძულზე, **კოლხიდა, ჭავჭავაძის და ძერჟინსკის სახელობის კლუბები, ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — ორთაბრძოლა, **გორკის სახელობის კულტურის სახლი, კოლმეურნე** — წყნარი დონი, **ოფიცერთა სახლი, სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — კრეისერ „ნადეჟდას“ ეკიპაჟი, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — სიყვარულის ასაკი, **დიდუბე, ცენტრალური კულტურის სახლი** — ორი აღიარება, **ყაზბეგი** — ქართული კინოფილმების ფესტივალი, **კომუნარების ბაღი** — ხანკა.

**საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექცია** აცხადებს საწარმო-დაწესებულებების, სკოლებისა და ფაბრიკა-ქარხნების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ, რომ **საახალწლო ნაძვისხის მომსახურების** უზრუნველსაყოფად განაცხადები მიიღება 25 დეკემბრამდე.

საახალწლო ნაძვისხის მომსახურებისათვის მსახიობთა (თოვლის პაპები, მაიობრივი მუშაკები და აკორდეონისტები) რეგისტრაცია წარმოებს 15 დეკემბრამდე.

მისამართი: პლეხანოვის პროსპ. № 123 (ტელეფონი № 3-95-86). საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო განყოფილება.

**თბილისის სახელმწიფო ცირკი**

**ყოველდღე**

დიდი საცირკო წარმოდგენა.

რსფსრ დამსახურებული არტისტი

**ოლეგ პოპოვი**

მონაწილეობენ **საბჭოთა ცირკის საუკეთესო ოსტატები**

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

**კვირაობით დღის ორი საბავშვო წარმოდგენა**

დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.

მოქალაქე **ელენე ზებედეს ასულმა ტრაპაიძემ**, მცხოვრებმა ყიფიანის ქ. № 22, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ლევან ნესტორის-ძე მაჭარაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **უშანგი ვარლამის-ძე ლაშხმა**, მცხოვრებმა ახალციხის ქ. № 16, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **თამარ ნიკოლოზის ასულ შავიძე-ლაშხთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლო.

მშობლები ელენე, ლადო, შვილები ნელი, ჯონდო, გურამ, რძალი მადლენა, ძმა გიორგი ცეცხლაძე ოჯახით იუწყებიან **ნინო მათეს ასულ ცეცხლაძე-ჯიბლაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12, 13-XII, 8 ს. გამოსვენება 14-XII, 4 ს. ლენინის ქ. № 23.

მეუღლე დომნა, შვილები კუკური, ლიზა, ძმა იუსტინე, სიძე ბ. ახობაძე, რძალი ნათელა ოჯახებით იუწყებიან **ბესარიონ ირაკლის-ძე აბულაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-XII სოფ. როკითში (მაიაკოვსკის რ.).

შვილები ვერა, ნადეჟდა ჩიკოიძეები, სიძე გერონტი ზურაბოვი შვილებით იუწყებიან **სოფიო ეპიფანეს ასულ პარკაძე-ჩიკოიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-XII, 4 ს. ქ. გორში. გამოსვენება ბინიდან, სტალინის ქ. № 17.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტები იუწყებიან **ნინო იოსების ასულ ფარცხალაძის** გარდაცვალებას.

დედა ოლღა, დები კლავდია, თამარ, ძმა შალვა, შვილები კლარა, რევაზ, რძალი იზოლდა, სიძე კ. ზანგურაშვილი, ნ. კაპახიძე შვილით იუწყებიან **შუშანიკა შამშეს ასულ ლომიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11-XII, 8 ს. გამოსვენება 12-XII, 3 ს. ჩეხოვის ქ. № 35 (26 კომისრის რ.).

ძმა დევი, მარიამ, ცაბუ, კიტი, რიტა, ვერა ჩიქოვანები, გ. შენგელია, ი. ლამბაშიძე, შ. ჯანუაშვილი იუწყებიან **გრიგოლ ანდრიას-ძე ახვლედიანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 12-XII, 3 ს. პეტრიაშვილის ჩიხი № 7.

პეტრე, სერგო, პლატონ, ლენა, ნინო საყვარელიძეები ოჯახით იუწყებიან **გოგოცა ვასილის ასულ ვარდოსანიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-XII, 3 ს. სოფ. ზოვრეთში (ზესტაფონის რ.).

შვილები გიორგი, ჩიტო, რძალი თინათინ აბულაძეები ოჯახებით იუწყებიან **ლიზა ნიკოლოზის ასულ ბახტაძე-აბულაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12, 13-XII, 8 ს. გამოსვენება 14-XII, 4 ს. ნინოშვილის ქ. № 31.

მეუღლე სონა, შვილები კარლო, მედეა, დოლიზა, რძალი ნინო კოშკელოვები, სიძე დ. დიაროვი ოჯახებით იუწყებიან **ვასილ გიორგის-ძე კოშკელოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11-XII, 7 ს. გამოსვენება 12-XII, 3 ს. ბოგდან ხმელნიცკის ქ. № 3.

მეუღლე ნიკოლა, შვილები ნადია, მერი, კუკური, ვიქტორ, რძალი ელენე, სიძეები კ. ჰუმბურიძე, მ. რევაზიშვილი ოჯახებით, ოთარ, ქეთევან მეშანიშვილები იუწყებიან **ეფროსინე არჩილის ასულ ცხადაძე-მეშანიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-XII სოფ. სიქთარვაში (თერჯოლის რ.).

მეუღლე ტერეზია, შვილები მიხეილ, ილია, რძალი დოდო შვილებით იუწყებიან **ავქსენტი შამილის-ძე ალანიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 14-XII ქ. ფოთიდან, კლარა ცეტკინის ქ. № 4, დაკრძალვა სოფ. შუა ქვალონში (ხობის რ.).

მეუღლე სოფიო, შვილები შალვა, იოსებ, რძლები ელენე, თინათინ ოჯახებით; ზაირა გეგეშიძე ოჯახით იუწყებიან **სერგო იოსების-ძე გეგეშიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-XII, 3 ს. სოფ. სადგერში (ბორჯომის რ.).


უგ 03586 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.